


# რიანტი



— თორმეტი წელიწადია, რაც ამ სკოლაში ვიმუშავებთ...  
 — მერე ამ ხნის განმავლობაში როგორ ვერ მოასწარი აჩუქე ღის დამთავრება?  
 — კი არ ვსწავლობთ, საკლასო ოთახებში ვცხოვრობთ.



# რთული წინადადება



ჭიათურის განათლების განყოფილებას განაგებს ვინმე იოველ ასათიანი, რომელსაც მასწავლებლებთან სულიერად მოქცევისათვის კაცს რომ ეწეინება და არ ეტკინება, იგი მოუხდება, მაგრად ამოკრული და ღაზათიანი.

## გ ა გ მ ც ა ნ ა

თბილისის რაიონის საბჭოს აქვს განათლების განყოფილება. განათლების განყოფილებას აქვს საშუალო სკოლა სოფ. კუმისში. სკოლას განაგებს ი. მებუკე. კუმისში ტბაც არის იმავე სახელწოდებით; ტბაში გარეული ინგები, კაკები და სხვა ფრინველები დასცურავენ. სკოლის გამგე მებუკეც ცურავს... გაკვეთილებში. გარდა გამგის თანამდებობისა მას აღებული აქვს უოველკვირეულად მისცემად 58 საათი ე. ი. უოველდღიურად 12 საათი ახსენით ამოცანა: რას აკეთებს ი. მებუკე, როგორც საბჭოთა სკოლის გამგე და როგორც მასწავლებელი?

(იღაყნიჭაყ).

## შ ა ლ ვ ა ს ს კ ო ლ ა

თბილისის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ შალვა ჰატარაიამ სთქვა: — ჩემი ანაჩატის მუშაკებს აღრიცხვა უნდა ვასწავლო, — გადუშალა წიგნი და ეუბნებოდა:

— ეს არის ერთი, ეს არის სამი, ეს არის ხუთი; ერთი და ორი არის სამი; სამი და სამი ექვსია; ცხრას გამოვაკლოთ ორი იქნება შვიდი. შვიდი არაბულად იწერება ასე: 7. ისწავლეთ გენაცვალებო.

ამ გაკვეთილის შემდეგ თბილისის რაიონის განათლების მუშაკებმა მოახდინეს წერა-კითხვის უცოდინარების აღრიცხვა და მიიღეს იანვარში თბილისის რაიონში 2232 კაცი.

ამის შემდეგ ზირველ სექტემბრისათვის ხელახლა მოახდინეს აღრიცხვა და გამოივანეს სულ იმავე რაიონში 3250 კაცი ე. ი. თითქმის 50% მეტი.

ისწავლიან განათლების განყოფილების ანაჩატის მუშაკები აღრიცხვას თუ ვერა? **სკვინჩა.**

## ლ ე ქ ს ი პ რ ო ზ ა დ

ხესტაფონის ათწლეულს. გამგის არ უოფნის დროს, „განაგებს“ ვეფხვამე ქრისტინა, ემსი და სინაზე მას წაურთმევა ჩამავალ მსისთვინა. მას, თვითონ აღუსრდელს, აღსრდა მოწაფეთა უდვია ვაღადა; ვასეთს არ კითხულობს, საბჭოთა ჰრესაზე ბრძანდება მწუწაღადა. ნიანგზე იმასის: ეს რა ცნოველია? რაებსა ჩამახვსო, საიდან მოვიდა! რა ჭქვია? ჯერ არსად მსმენია და არც მინახავსო. საშუალო სკოლების სამმართველოს გამგის მომართვები ქაღბატონს „ზადლოგი“ ჭკონია. ჩანგალი რომ მოხვდეს ამისთვის, ასია და მოსაწონია.

**ჩანგალი.**

# 306 გაგოიხნობს?

გაგოიხნობს  
ზესტაფონი \*)

საფთოთაქო სამმართველოს საპროტესტო სახელისნოს გაბეგეპ ზორ.

ფილე თითბერიბეპ მხაბიჭურად შეუკერა:

ბეგი ბერიას (საფთ. სამმართვ. უფროსს)	9	წევ.	ფესნაცმ.
ვ. ხომერიკს	3	„	„
ი. კახუნას	2	„	„
ნ. ჯიბუტს	1	„	„
ხოჭოლაავას	1	„	„
ვ. თოდუას	1	„	ჩექმა

რამდენი ფესნაცმელი ღირს საშუალოდ თითბერიბისათვის თითო-  
ეულ „საჭირო ადამიანის“ მომადლეერება იმ ჯარუდით, რომ ერთი ჩექ-  
მის საფასური უდრის 3 ჩვეულებრივი ფესნაცმელის საფასურს და  
ეველა ზემოთ ჩამოთვლილი ფესნაცმელის უკანონოდ მომხმარებლები  
თუთბერიბესთან ერთად უდრის ნიანგის ერთ გემრიელ საკბილოს.

აქ მრავალი გვყავს პედაგოგები  
გაიძახიან: „სწავლა და სწავლა!“  
მაგრამ გამხდარან აღმზრდელის ნაცვლად  
ღვინის სმის ღმერთის — ბანუსის დავლა,

დღეს „კამბანია“ აქვს იბოლოტეს,  
ხვალ ეფისტინეს, ან კიდე ვერას.  
და სალამოდან განთიადამდე  
გაიძახიან სულ „რაშოვ-რერას“.

ცლიან დასტობით ავსებულ ჭიქებს,  
ჭიქას სცლის ყანწი უზარმაზარი  
და ვინც ძირამდი არ გამოსწურავს,  
ის ყველას თვალში ხდება ლაჩარი.

მაგრამ აქ „ლაჩრებს“ ძვირად შეხვდებით...  
ელუნწავს დილამდე მთელი კრებული,  
დილაზე ზღაწენით იშლება „ჯარი“  
ღვინის სმის ფრონტზე გამარჯვებული.

კვლავ აშურებენ აღმზრდელნი სკოლებს.  
კვლავ იძახიან: „სწავლა და სწავლა“,  
თვით კი გამხდარან აღმზრდელის ნაცვლად  
ღვინის სმის ღმერთის — ბანუსის დავლა.  
მ—ზა

\*) რედაქცია არ ეთანხმება ამხანაგ მ-ზას, თითქოს  
ეს ლექსი მართო ზესტაფონელ პედაგოგებს ეხებო-  
დეს და სამართლიანად მიგვაჩნია, ჭიათურის, ჩხარის,  
ბაღდათის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის და სხვა  
რაიონების მასწავლებელთა მოსალოდნელი პროტეს-  
ტი, ავტორის მიერ მათი დავიწყების გამო.

## 307 ზიანგა თავეკახაძის განცხადება\*)

განცხადება

განათლების კანცლერის  
რიხეხტლის

ვინაიდან მე გაქაბიყვანეთ მასტავტერის 263  
ხაიგუნში ხდებოდა ახ ვახ ვაყადვილი ამგარაჰ-  
ნყვიქიქით ეთხდით რამაძხუნით ილთვი, შემ  
სდვიდ ში სიპაჰ მე მი ზმოდლო ხსვან ვლჯახუხი მრ-  
ე-შიახსის ვამ სხავრის ვყრ შიბა

25/8 376

ვლ. თავეკახაძე



# „ხეჩხი ჯოხია ღონესა“

ვლიდანტე თავკახაძის ახალი გამოგონება შეშით მოუმარაგებელ სკოლებში მოწაფეების გასათბობად.




— ვისაც შინ თბილი ბინები გაქვთ, ხელები ასწიეთ!



— დაუშვით.



— ვისაც სწავლობო ოთახში გცოვათ, ხელები ასწიეთ!



— დაუშვით.



— ვისაც გათბობა გინდათ, ხელები ასწიეთ!



— დაუშვით.



— ვინაც გრძნობთ, რომ სკოლაში სითბო მატულობს ხელები ასწიეთ!



— დაუშვით.



— ვისაც შინ წასვლა გეჩქარებათ ცეცხლთან გასათბობად, ხელები ასწიეთ. მოწაფეები: — აღარ გეჩქარება! გავთბოთ მასწავლებელს!

# მარგვილოზი ადამიანი ღმერთისა, ნამუბი წმ. ანა ღვინისა და გარჯანი შავა თაბუკისა

ანუ

სახელგამი სტუმრობა და მასზე საჯავახოური ხუმრობა,

რომელიც არის ნახვარი მართალი და ნახვარიც — სწორი, ხოლო დანაჩენი — ტყუილი და ზოგი, დაწერილი „ნიანის“ სასკოლო ნომრის გამო, არაყველასათვის საამო,

მაგრამ თვითკრიტიკული და არამტრული, გაკვირით, დაკვირით!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ალექსანდრე ღვინელი** (სახელგამის ახალგაზრდობის სექტორი): — ამხანაგებო, ახლა ნიკოსთან ვიყავი და მიხრა: რაკი სახელმძღვანელოების გამოშვება ძირითადად უკვე მოვიტავეთ, მთელი ყურადღება უნდა გადმოვიტანოთ საბავშვო სექტორზე.

**ანა ღვინელი**: — აღარ ვიცი ღმერთმანი, რამდენი თავი უნდა მქონდეს და რამდენი ფეხი, რომ გავწვდე ამდენ საქმეს. მთელ სექტორში სამი ვართ. გავიხილა ასეთი უღმერთობა? თითქმის მთელი კორექტურა, გამოშვება და ტექნიკური ნაწილი ჩემს კისერზეა. ამას დაუმატებ ჩვენს კაპრიზიან ავტორებთან მოლაპარაკება. ბავშვთა მწერლები ზოგიერთ ბავშვსავით მიზეზიანი და ბუტიები არიან.

**ალექსანდრე**: — თუ ვერ ვასწრებთ, ავიყვანოთ სხვა თანამშრომელი, ნიკომ ქე მოგვცა ნება!

**ანა**: — მე მგონია, სხვა თანამშრომლის აყვანა არ არის საჭირო. რაც მეტი ვიქნებით, უარესია, ერთმანეთს ხელს შეეშალებით.

**დარაჯი** (შემოდის): — ანიკო, ტელეფონზე გეძახიან!

**ანა**: — აი, ხედავთ! ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს. პაპიროსის მოწვევისათვისაც კი ვერ მომიცლია. (გაღის).

**ალექსანდრე**: — ამ ანიკოსი ვერაფერი გავიგე. სხვისი აყვანის წინააღმდეგია და თანაც საყვედურობს.

**შალვა**: — ეჰ, ჩემო ალექსანდრე, რა იცის კაცმა ძაღლის თავი სად არის დამარხული? მაგრამ მე ახლა მინდა სხვა თავზე გითხრა.

**ალექსანდრე**: — ვისი თავის შესახებ?

**შალვა**: — თუნდაც ჩემი თავის შესახებ. რას მერჩი ძმაო? დედანი ვერ გავასწოროთ და სტამბაში მერმე გავგზავნოთ, თორემ კიდევ ბევრჯერ დაგვემართება ისთივე ამბავი, როგორც არაერთხელ მოგვევლია.

**ალექსანდრე**: — რა მოგვივიდა?

**შალვა**: — აი, გობოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ რომ არის. ასეთ შემთხვევაში „ვაი ჭკუისაგან“ კი არა „ვაი უჭკუობისაგან“ გამოგვივიდა ჩვენ.

**ალექსანდრე**: — ეს ერთეული შემთხვევაა, კაცო!

**შალვა**: — აიღე ჩეხოვი. ვილაცამ შემოგვაჩეხა მისი ორი მოთხრობა: „ფუტლიარის კაცი“ და „ბოროტმომქმედნი“. მთარგმნელს ეთარგმნა: „კაცი ნაჭუჭში“ მართლაც ნაჭუჭში და ბოროტმომქმედი უნდა იყოს კაცი, რომ ჩეხოვი ასე დაამახინჯო. მოთხრობები აიწყო და კორექტურის სწორების დროს გამოიჩინა თარგმნის უვარგისობა.

**ალექსანდრე**: — „შალვა ჩემო სიხარულო,

სიცოცხლეზე უფრო ტკბილო.“

ხელმეორედ უნდა ვთარგმნოთ,

ამაზე არ გამაწბილო!

**მიქელ პატრიძე** (ფრთხილად შემოჰყოფს თავს): — ანიკო აქ არის?

**ალექსანდრე** (ხუმრობით): — მოდი, მიქელ მოდრეკილო, რისი გეშინია?

**მიქელ** (შემოდის): — მართლაც მოდრეკილი ვარ, თქვენს ხელში აბა რა ვიქნები, სწორედ, რომ მომდრიკეთ. ანიკო სად არის?

**ალექსანდრე**: — ტელეფონზე დაუძახეს და ამ წუთში მოვა.

**მიქელ**: — როგორ ხსიათზეა დღეს თუ იცი?

**ალექსანდრე**: — შენთვის სულერთი არ არის?

**მიქელ**: — შევეკითხო მინდა ჩემი უბედური წიგნების შესახებ; თუ ცუდ ხსიათზეა, ვერ გავუბედავ, გავიპარები, ისა სჯობია!

**ალექსანდრე**: — რაკი მასეა საქმე, გირჩევ ხელს მოხვიდე.

**მიქელ**: — მაშასადამე ცუდ ხსიათზე ყოფილა. (აპირებს გასვლას, რომ ანა ღვინელი შემოდის).

**ანა**: — ქალღმერთო მე უნდა ვირბინო. (შეამჩნევს მიქელს). მიქელ, ობლის კვერი დიდხანს ცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა. რაკი ხუთი წელიწადია ელოდები შენი წიგნის გამოსვლას, ცოტა კიდევ დაიცადე და გამოვა.

**მიქელ**: — დიდად გმადლობ... განა ამისთვის მოვედი, რომ თქვენ შემეწუხებინეთ. (თავისთვის) „ნეტარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ მე არ ვარ ასეთი. (გაღის).

**ანა**: — მშვიდობიანი კაცია. ეტყვი და დაიჯერებს.

**შალვა**: — შენ გგონია სჯერა? მაგრამ რა ჰქნას!

**ანა**: — ისიც კარგია, რომ არ ჩხუბობს. შენ უნდა იკითხო ქალი მწერლები. მე თითონ ქალი ვარ, ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ქალობა შემაძულეს, სისხლი გამიშრეს, განსაკუთრებით ცქვიტმა. ქალი მოხუცდა, მაგრამ ჩვენთან ჩხუბში მაინც ცქვიტია. დალოცვილია მიცვალებული მწერლები, არავითარი ჩხუბი და აყალმაყალი არ იცინა.

**ალექსანდრე**: — ამიტომაც ყველაზე მეტი ისინი გამოვეცი. (შალვა გაღის).

**ანა**: — ჰონორარსაც არ ვიხდით. კრილოვის იგავ-არაკები გამოვეცი. ჰონორარი არც კრილოვისათვის მიგვიცია და არც აკაკისათვის თარგმანში. არც ჩეხოვისათვის მიგვიცია, თუმცა მისი ორი პატარა მოთხრობის ორჯერ თარგმნა და სწორება სახელგამს ორიგინალზე მეტი დაუჯდა, მაგრამ ის რად ღირს, რომ ავტორი არ შეგაწუხებს — ჩემი წიგნი ცუდად გამოვიციათო, როგორც ეს ცოცხლებმა იციან.

**ალექსანდრე**: — საერთოდ მიცვალებულ მწერალთა გამოცემა ყოველმხრივ უფრო ხელსაყრელია.

**ანა**: — განსაკუთრებით იმ მიცვალებულ მწერალთა გამოცემა რომლებსაც შემეკვიდრები არ დარჩენიათ ჰონორარის მისაღებად.

**ალექსანდრე**: — აიღე ხალხური შემოქმედება, აი, ჩვენ რომ გამოვეცი „რწყილი და ჭიანჭველა“. კაპიკს არ ვიხდით ჰონორარს. გამოუშვი რამდენიც გინდა. რამდენი ხანია ტყავს აძრობენ „რწყილსა და ჭიანჭველას“, მაგრამ ჰონორარი არავისთვის მიუციათ.

**ანა**: — სიმონ წვევლა დასწერა ახალი „რწყილი და ჭიანჭველა“...

**ალექსანდრე**: — ალბათ მასაც მოესურვა „რწყილისათვის“ ტყავის გაძრობა და ჰონორარის მიღება, მაგრამ აგერ არ არის უფასო!


**შალვა** (შემოდის): — ანიკო, ცქვიტი მოდის და ნინო ნაკაშიძეც მოჰყვება!

**ანა**: — ნუ მეხუმრები შალვა.

**შალვა**: — გეხუმრები კი არა, ამისთვის გამოვეჩქარე, რომ შენთვის შემეტყობინებია. (დერეფანში ისმის მომავალთა ფეხის ხმა და ლაპარაკი: „საბავშვო ახალი ლიტერატურის შექმნაზე თავს არ იწუხებენ“).

**ანა**: — ის არის, ის. (პორტფელს ხელს დაავლებს და საჩქაროდ გაღის. გავრძელება იხილეთ ადგილობრივ).

ისელი



მღიპანი — მოითმინეთ, განათლების განყოფილების გამგეს არ სცალია: თათბირი აქვს.

## აკითხავიკუდი ამოცანები

1. მარეღისის გრეხილ-ავეჯვეულობის ფაბრიკის სასადილოში 21 ჭიქაა, ხოლო ფაბრიკაში მუშაობს 500 მუშა. რამდენი მუშა მოდის ერთ ჭიქაზე?

\* \*

2. ამავე სასადილოში ერთი ჭიქა ჩაის დალევა უნდება ერთი საათი და ერთი წამი, აქედან: ნახევარი საათი — კოვზის ძებნას, მეორე ნახევარი საათი — ცივ ჩაიში შაქრის გადნობას (თუ ასეთი აღმოჩნდა ჭიქაში) და ერთი წამი ჩაის გადაყლაპვას.

რას უდრის ჩაის დასალევად გაცდენილი დრო?

\* \*

3. ხსენებული სასადილოს გამგე შ. კიკნაძემ ისე ასწია თავისი გამკვრელობა (დიახ, გამკვრელობა, შეცდომა არ გეგონოთ); რომ კილო ზორციდან ათი კერძის მაგიერ ამზადებს 25 — 30-ს. რამდენი რჩება სასადილოს წმინდა მოგება? (გასინჯეთ გამგის ჯიბე).

\* \*

4. სამტრედიიდან ჩოხატაურამდის 30 კილომეტრია. ჩვეულებრივი ბილეთი (ავტოსი) ღირს 10 მანეთი, ხოლო „ხალტურა“ — 20 მანეთი. თითოეულ „ხალტურულ“ მანეთზე რამდენი კილომეტრი მოდის?

5. ამავე მიმართულებით ეტლი მგზავრზე ლებულობს 40 მანეთს, შოფერი ხალტურაძე — 20 მანეთს. რამდენი რჩება მოგება მგზავრსა და შოფერს?

\* \*

6. ზესტაფონიდან სოფ. ტელეფამდის შოფერები მგზავრებს ახდევინებენ 4 მანეთს, ხოლო სოფ. ტელეფიდან ზესტაფონამდის — 10 მანეთს. რამდენია მანძილი ზესტაფონიდან ტელეფამდის და ტელეფიდან ზესტაფონამდის? რა განსხვავებაა მათ შორის?

\* \*

7. აბაშის რაიონში „პირველი მაისის“ თემის „ეპომ“ მოსახლეობაში დაამზადა ფრინველები და მათი კვერცხები, რომელთა საფასურში მოსახლეობისათვის უნდა მიეცა ფართალი. ხსენებული ფართალი მაღაზიაში მოპარული აღმოჩნდა. დასარიგებელი (იგივე მოპარული) ფართალის შესაძენად „ეპომ“ გაყიდა დამზადებული ფრინველები და მათი კვერცხები. რამდენი ჭკუა ჰქონია „ეპოს“ და რამდენი დარჩა მოგება?


კონუსი

## „რაცწინადადება“

აკურის სკოლას არ აქვს დაფები.



მასწავლებელი (მოწაფეებს): — გულს ნუ ვაიტებთ თელაგის განათლების განყოფილების ამ რაცწინადადებით წელს იოლად წავიდეთ.



ხობის რაიონსკომის განათლების განყოფილების ვანო თოფურიას წერილი მასწავლებელ ქალისადმი.

ჩემო სირინოზ, ჩემო ვარსკვლავო, ჩემო სიცოცხლე, ჰაეროვანო, ბარათს ვიგზავნი, შენი ტრფობისგან ფერფლად ქცეული ტანჯული ვანო!..

თუ შეიბრალე ჩემს გულს დადაგულს ხელს გამიწოდებ მყოფს ვანსაცდელში, წარმატება და კარგი აღგილი ნაღდად გეჭიროს ყოველთვის ხელში!..

რა გავაგრძელო? რაც გულს მიდაგავს, ნათელი არის შენთვის ყოველი, დღეს შენ დაგსახე მორიგ მიჯნურად შენთან პაემანს გულით მოველი!..

იცოდე, თუ რომ უარს მატაკებ, არ შემიბრალე, გამწირავ, კარგო, მაშინ გირჩევ, რომ დაეხსნა სკოლას რაიონიდან გადაიკარგო.

დავითა.

Завления уважаму и чарачую делехтору и аму попошнику Завджлурю!  
Вочень прасим давай аменя преподавател аместо руском аучаком как так аменя аагу педагогам аакола  
Ваше ваажена  
Ладимера Алурадзее

აი, განცხადება, რომლითაც მიმართა ლადიმე ალუჩაძემ განათლების განყოფილებას რუსულ ენაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ.

„ასე ვიზამთ“ ... „ისე ვიზამთ“ ...

ნიანგის დავალებით შევიარე ხაშურის განათლების განყოფილებაში, რომ გამეგო — თუ როგორ შეხვდა რაიონი სასწავლო წელს. განყოფილებაში ორი ყურჩამოყრილი მუშაკი იჯდა და ერთმანეთს უსამძიმრებდნენ:

1-ლი: წელს არა გვაქვს სწავლის საქმე მოხაწონი, ხაშური, ყველა კუთხეს ჩამორჩება აგი ჩვენი ხაშური.

მე-2: თბილისს ბევრჯერ გავემგზავრეთ, რომ გვენახა კომისარი, კაბინეტის წინ ვიდექი დასობილი როგორც სარი.

1-ლი: მაგრამ მაინც არ მიგვიღო, იმ ოხერმა არც ჩვენ, არც სხვა. მღელვარებდა ბრაზისგან კორიდორში ყველა, ვით ზღვა.

ამ დროს გარედან მოისმა მოთქმა, რომელმაც მიიპყრო მათი ყურადღება. კარი გაუღეს და შემოვიდა სურამის სკოლა.

— რაზე მოთქვამ ასე გულმოკლულად? — ჰკითხეს მას.

— მეც სურამის ციხის ბედი მეწია. ამდენი ხანია ვშენდები და არ იქნა ჩემი დამთავრება. — უთხრა სკოლამ და დაწვრილებით უამბო მათ თავისი გაქიანურებული მშენებლობის თავგადასავალი. ნაამბობმა ყველანი დაალონა. მალე გაისმა სიმღერა, „სურამის ციხის“ მოტივზე:

სურამისა სკოლაო,  
სურვილითა განახეო  
ვერ აშენდი ამდენხანს,  
ვინ დაგიღვა მახეო.

შენი ფული, მასალა ვინ წაიღო, ვინაო? აიშენა, მოიწყო თავის სახლი, ბინაო.

— ჩვენო სკოლავ, სანამდის? — მარტო საძირკველია!! — მეტი არა ამდენხანს?! ეს ხომ საკვირველია?

— ალბათ ჩემი ხვედრია სურამისა ციხისა. მასალები არ არის არც ქვის და არც თიხისა.

ამ დროს შემოიღო კარები და შემოვიდა განსახკომის თბილისელი ინსტრუქტორი მარიამ ჭავჭავანიძე.

— ღვთისმშობელივით, სახელიც ქე გაქვთ მისი, მოგვევლინე თქვენ ასეთ დროს! — უთხრა მისალმებისთანავე გახარებულმა მუშაკმა: — თქვენ უნდა გვისწათ და დაგვეხმაროთ, რომ გამოვასწოროთ ჩამორჩენა...

ბევრი ოქმი დაიწერა, გაუფუჭდა კალამს წვერი. დაპირების მთები იდგა და სიტყვების ბუდი, მტვერი.

„ასე ვიზამთ!“ .. „ისე ვიზამთ!“ რა იყო, რომ იქ არ თქმულა? — დაპირების ბროლის კოშკი თვით ზეცამდის აგებულა.

დიდხანს ნაყა წყაროს წყალი, მაგრამ წყალად დარჩა წყალი. ის წავიდა... ესენი კი დღესაც სხედან ხახამშრალი.

სანსალა.





დეილა ნინო გამოცდილი პედაგოგია,  
მათემატიკის სწავლებაში ვერვინ სჯობია.



ხატვის სწავლებაც დაავალეს, მოჰკიდა ხელი  
არ ენერგება თუმც ეს საქმე, უცხო და ძნელი.



როცა გალობის ვაკვეთილიც ჩაატარა მან,  
უველამ თითები დააფარა უურის ბარაბანს.



ფიზკულტურაც რომ „დაიმშვენა“, ბავშვებს ასწავლა,  
სჩანს ამის შემდეგ სკოლისაკენ შერცხვება გავლა.

# „სანიშნო“ გაკვეთილი

ზოგიერთ სკოლებში რუსული ენის  
მასწავლებლად არაკვალიფიციურ მუშა-  
კებს აგზავნიან.



გაკვეთილი  
სანიშნო

(სცენა წარმოადგენს რაიონული სკოლის ერთ-ერთ სასწავლო ოთახს. ხარი ახალი დარეკილია. მოწაფეები ყრიაბულით ამურებენ ადგილებს. შემოდის რუსული ენის მასწავლებელი).

**მასწავლებელი** — დრასტი ბაღნებო!

**ყველანი** — დრასტი მასწავლებელო!

**მასწავლებელი** — შტო ტაკოი? კაკოი ია ვაშ მასწავლებელ, ია უჩიტელ. არც ერთი ქართული სლოგო, ვო ვრემია რუსკი უროკ! სლუშალი?

**ყველანი** — სლუშალი!

**მასწავლებელი** — (ფურცლავს ყურნალს. მოწაფეებში ჩურჩულია) შტო ზა შუმ?

**1 მოწაფე** — მაწვეთავს ბატონო.

**მასწავლებელი** — შტო?

**1 მოწაფე** — წვიმის წყალი მაწვეთავს თავზე...

**მასწავლებელი** — გავარი პა რუსკი!

**1 მოწაფე** — დოჟდევაია ვადა კაბლუეტ ნა ვალავე.

(ჭერიდან წყალი ჩამოდის)

**მასწავლებელი** — (გაშლის ქოლგას) ადევითე ფურაშკი!.. ჟივო! ნუ კა ბაბუადზე, მომიყევი ტეპერ შენ შტო უნას უროკ... და ვოტ შტო ბაღნებო, პაკა მი პალუჩიმ იზ განსახკომა უჩებნი პროგრამ, ნორმალნო ნე ბუდემ ზანიმატსია ა შტო კასაეტსია კლასნი ვნუტრინი განაწესს ი პროიზვესტენნი პლან ეტო ნა დნიახ ნა პედსაბჟოვსკი სავეშჩანიეზე ბუდემ რაზბირატ... დალშე ნუ კა ბაბუადზე, შტო უნას უროკ?

**2 მოწაფე** — უნას უროკ... უროკ-უნას...

**მასწავლებელი** — ნუ!..

**3 მოწაფე** — (ჩურჩულით) ზოოპარკი...

**2 მოწაფე** — ზოო... ზოო...

**3 მოწაფე** — პარკი ბიჟო პარკი... მეშოკ!..

**2 მოწაფე** — ზოომეშოკ უჩიტელ!

**მასწავლებელი** — კაკოი მეშოკ?

**2 მოწაფე** — პარკი, უჩიტელო!

**მასწავლებელი** — მალაჩინა და იშჩო რაზ მალაჩინა, ნუ დალშე რასკოჟი ნამ კაკ მი ვრემია პრაველი ზოოპარკე ნა თბილის კაკდა პაენალი?...

**2 მოწაფე** — ზოოპარკე ნა თბილის კაკდა პაენალი... მი ზოოპარკე კაკდა პაენალი ნა თბილის...

**მასწავლებელი** — ნუ! ნუ, ჟივო! შტო ტამ სმატრევალი?

**1 მოწაფე** — (ჩურჩულით) დიკიე ხიშჩინე ზვერი...

**2 მოწაფე** — ბიკიე ხვიჩიეს წვერი ბატონო...

**მასწავლებელი** — (1 მოწაფეს) კატო ტებე ზაპრაშვიეტ ტი ზნაიშ ადინ დრევენუიუ ანდაზუ, არა მკითხე მოამბეო, მიპერტყე და მიაგდეო... ტო ეს ნე სპრასილა გავარილა, პაბილა და პალაჟილა...

**3 მოწაფე** — (წამოიყვირებს) ცისარტყელა! ბავშვებო!

**მასწავლებელი** — შტო ტაკოი?

**3 მოწაფე** — წვიმამ გადაიღო ბატონო, ცისარტყელა გამოჩნდა...

**მასწავლებელი** — გავარი პარუსკი?

**3 მოწაფე** — დოჟდ პრეკრატელ, ნებო პოიას ვიდნო, ბატონო...

**მასწავლებელი** — (დაკეცავს ქოლგას) სნიმითე ფურაშკი... დალშე შტო ვიდალი ზოოპარკე? ბაბუადზე?

**1 მოწაფე** — (ჩურჩულით) ტიგრ! ტიგრ!

**2 მოწაფე** — ტიგრა... ტიგრა... ტიგრან ბატონო...

**მასწავლებელი** — ტიგრ! პრავილნო, ეშჩო?

**2 მოწაფე** — ლომ, მაიმუნ, ლისიც...

**მასწავლებელი** — ლისიც, მალაჩინა, ჩემ პიტაეტსია ლისიც?

**2 მოწაფე** — ლისიც ლუბიტ კურიც!

**მასწავლებელი** — ატკუდა ზნაეშ?

**2 მოწაფე** — ია ზნაი ლექს მასწავლებელო... საწყალი მელა ჩიოდა არ მომივიდა ძილიო.

**მასწავლებელი** — პარუსკი?

**2 მოწაფე** — პარუსკი ნე ზნაიუ უჩიტელ.

**მასწავლებელი** — პარუსკი ბუდიტ, ბედნი ლისიც ჟალოვალსია ნე პრიშლა კამნე სონია...

**3 მოწაფე** — ვაიმე დედა!

**მასწავლებელი** — შტო კრიჩიტ?

**3 მოწაფე** — ვოტ ბატონო, მაჩაიძე იპწკინება.

**4 მოწაფე** — ა შტო უჩიტელო, ონ გავარიტ პეტუხ იაიც ნესიოტო?

**მასწავლებელი** — შტო ტაკოი პეტუხ? დიკაია ილი დამაშნაია პტიცა?

**4 მოწაფე** — პეტუხ ესტ მამალ.

**მასწავლებელი** — პეტუხ აბდუშოვლიონი პრედმეტ ილი ნე აბდუშოვლიონი? (მოწაფეები სდუმან მოისმის მამლის ყივილი) შტო სმეიოტეს? ნუ კა ყანჩელი! შტო სიხას სდეღალ პეტუხ?

**5 მოწაფე** — ყიყლიყო, ბატონო.

**მასწავლებელი** — პარუსკი?

**5 მოწაფე** — კუ — კუ — რეკუუუ...

**მასწავლებელი** — ხორომ!

ერთად — კუ-კუ-რე-კ-უუუუ!

**მასწავლებელი** — ეშჩო (მოწაფეები იმეორებენ) პეტუხ მნოჟესტენნი ჩისლო, ილი ედინსტენნი? კტო ეშჩო სკაჟეტ?

**5 მოწაფე** — ია, უჩიტელ!

**მასწავლებელი** — შტო ჟილ-ბილ უ ბაბუშკა?

**3 მოწაფე** — სერენკი კოზლიკ ბატონო!

**მასწავლებელი** — ბაბუშკა კოზლიკა... შტო კოზლიკა... ოჩენ...

**ხმები** — ლუბილა!

**მასწავლებელი** — ბაბუშკა კოზლიკა ოჩენ ლუბილა, ვოტ კაკ, ვოტ კაკ, ოჩენ ლუბილა... ხორომ!.. (მოწაფეები იმეორებენ. გატენილ ფანჯარაში თავს შემოაჭყოფს თხა. საერთო სიცილი. მასწავლებელი თხას ქოლგას ესვრის. ჩაიმტვრევა ხალი მინაც. მოწაფეები კვლავ იცინიან) ჩტო ტუტ სმეშნოვი?!

**4 მოწაფე** — ნიჩეო ბატონო, პოტამუ სმეიომსია, შტო ხოროშო ნე პრიცელული...

**მასწავლებელი** — ია პრიცელული უმეიუ სო ეტო კოზა დირექტორა... დავოლნა, შტო მი იშჩო სმატრევი ზოოპარკე? ნუ კა მიქაშავიდზე?

**6 მოწაფე** — ვერბლუდ, ბელი მედვედ...

**მასწავლებელი** — გდე ჟივიოტ ბელი მედვედ?

**6 მოწაფე** — ნა ჩელუსკინსკი პოლუს.

**მასწავლებელი** — ეშჩო შტო სმატრევალი?

**6 მოწაფე** — ყვავ.

**მასწავლებელი** — პორუსკი-თქვა!..

**6 მოწაფე** — ვორონა, მასწავლებელო!

**მასწავლებელი** — გდე ჟივიოტ ვორონა?

**6 მოწაფე** — (პაუზის შემდეგ) ვორონა ჟივიოტ ნა ქუთაის, ბატონო.

**მასწავლებელი** — იშჩო შტო ვიდელი ტამ?

**7 მოწაფე** — ნა კედელ ვისელ გალია, ა ნა გალია სიდელ თეთრი ვირთხა, უჩიტელ..

**მასწავლებელი** — პორუსკი?

**7 მოწაფე** — ვირთხა... ვირთხა... ვირ... თხა..

**4 მოწაფე** — (ჩურჩულით) ვირი — ასიოლ, თხა — კაზიოლ...

**7 მოწაფე** — ასიოლ-კაზიოლ, მასწავლებელო! **მასწავლებელი** — (მეოთხე მოწაფეს) დასცალე კლასი... ტო ეს ვისტრელიაი კლას... შტო ტამ სლუჩილსა?

**8 მოწაფე** — ემუ, ბატონო, სლეპოვი წელი ბალიტ, ბატონო.

**მასწავლებელი** — პარუსკი?

**8 მოწაფე** — სლეპოვი გოდა ბალიტ...

**მასწავლებელი** — (1 მოწაფეს) აპედინციტ? კდობტურუ სკორეი... დობტურ პოზავიტე...

**9 მოწაფე** — დობტურ ბალიტ ლეჟიტ ბატონო...

**მასწავლებელი** — ვაზმიტე ემუ დობტურსკი დომ...

**1 მოწაფე** — (დააპირებს ადგომას, მაგრამ პარტა ახალი გალაქულია და მოწაფე ზედ არის დაწებებული. მოწაფეები მისცვივდებიან, მაგრამ მაინც ვერ ააგლეჯენ)

**მასწავლებელი** — ვინესიტე იო ნა დვერ! (მოწაფეებს დერეფანში გააქვთ პარტა მოწაფითურთ). კტო სკაჟეტ მნე ტეპერ კაკოი რაზმერ სლეპოვი კიშკ?

**7 მოწაფე** — დვენაცატ შავ, უჩიტელ.

**მასწავლებელი** — ვინადი ი რაზმერუი სკოლკო ბუდიტ დვენაცატ შავ?

**7 მოწაფე** — (ზომავს ნაბიჯებით, მიუახლოვდება კარებს).

**მასწავლებელი** — ნინვატიტ?

**7 მოწაფე** — ნეტ, უჩიტელ.

**მასწავლებელი** — ატკრივაიტ დვერ!

**7 მოწაფე** — (ადებს კარებს და განავრძობს ნაბიჯებით ზომავს) დვეიტ, დესიტ, ადინაცეტ...

**მასწავლებელი** — (მიხურავს კარებს) უხადი შტობ ტვოი ვოზდუხ ნე ბილო ზდეს... (ზარბს ხმა) დასვიდანიე, ბაღნებო!..

**მის. გოგიაშვილი, ზ. ივანიშვილი.**

გიორგიმ და კოტემ 1907 წელს დაამთავრეს გიმნაზია. მათ გიმნაზიაში 15 წლის ყოფნის იუბილევად გადაიხადეს. ორივე უმაღლეს სასწავლებელში მოეწყენენ. იქაც ზარმაცობა გამოიჩინეს. შშობლებისგან მიღებულ ფულს ქეიფსა და დროს ტარებაში ანიავებდნენ, ხან მადლარნი იყენენ ხან მშვიდრნი. ერთხელ მათ შეხვდათ მეზობელი, რომელსაც დიდხანია არ ენახა ეს ყმაწვილები.

— მადლია, ერთ კარგ სადილს ვაჭმევ. — სთქვა და მიიპატიჟა ისინი სადილზე.

— სხვა როგორა ხართ? რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ? — შეეკითხა ცნობისმოყვარე მეზობელი სტუდენტებს.

— ჩვენ ეკონომიურ ფაკულტეტზე ვსწავლობთ.

— თქვე მამაცხონებულნო, ფული თქვენ არ გაქვთ და ტანზე არ გაცვიათ, ამაზე მეტი ეკონომია რალათ გინდათ? — მიუგო მეზობელმა.

## სიმღერა

მოწაფე ალფეზ ნემსიყლაბიძეს ახალი ნიშნები მისცეს. ის სიხარულით გაიქცა შინისაკენ და მშობლებთან მიიბრინა.

— ალბათ კარგი ნიშნები მოიტანა. — გაიფიქრა დედამ.

— აჰა, დედი, ჩემი ნიშნები! — სთქვა ალფეზამ და ნიშნების ფურცელი დედას გადასცა.

- ქართული — 2.
- რუსული — 2.
- წერა — 2.
- არითმეტიკა — 2.
- ისტორია — 2.
- გეოგრაფია — 2.
- ყოფაქცევა — 1.
- სიმღერა — 5.

ყველაფერში ორი მიგილია და რა გემღერება შენ მოსასაობო?! — მიუგო გაჯავრებულმა დედამ.

ივანიკა.



— ვეფხის ტყაოსანს კითხულობ შეილო? არ გინდა ჯერ შენ ვერაფერს გაუგებ მაგას. — რატომ დედილო? ესეც ხომ საბავშვო წიგნი არ არის?!

## სკიპუკვები

საბავშვო უნივერსალი

- პალტო გაქვთ ბავშვისთვის?
- არა.
- შარვალი?
- არა.
- კაზა?
- არც კაზა.
- ფეხსაცმელები?
- არა.
- ქუდი?
- არა.
- მაშ რა გაქვთ ბავშვისათვის?
- უნებერმალი.

### ჩვეულების თანახმად

- მომწყინდა, ორი კვირაა ერთი და იგივე მასალას გვამეორებინებს ჩვენი მასწავლებელი.
- რას უზამ? საქვილეგის ყოფილი მსახიობია.

## საშრობო, ჩემო საშრობო!..

„საშრობო, ჩემო საშრობო, ჩემო მზევ, ჩემო მთვარეო; გამიშრობ ნაწერს სკოლაში შენს ფერსაც ვენაცვალეო!“

ასე მღეროდა მოწაფე სკოლაში მიმავალი,

მაგრამ საშრობმა მას თურმე დაუსხა ცეცხლზე წყალია..

დასწერა... და რომ დააშრო, ნეტავ რას ისმენს ყურები; ნაწერის ნაცვლად მიიღო, ბატების ნაფეხურები!..

ხვიტო.



მილიციელი (წესრიგის დამრღვევს): — ვის ატყუილებ სტუდენტი ვარო? ფანჯარი არა გაქვს, წიგნი არა გაქვს, რვეული არა გაქვს, შენ სახელგამის მუშაკი იქნები!..

## კაბინეტის მკარებთან

(სცენა წარმოადგენს თბილისის სტალინის რაიონის განათლების განყოფილებას. გან. განყ. გამგის ივლიანე ძიძიგურის კაბინეტის კარებთან რიგია. დილის 8 საათია).

მეკარე: — სად იჭვრიტები კაცო! გამოდი აქეთ!..

1-ლი კაცი: — ძიძიგური არ მოსულა?

საქმეთა მმართველი: — აბა ამდენ ხანს ტყვილა იჭვრიტებოლი კლიტის შესაყრელში. ვერ ხედავ, რომ არ მოსულა?

მე-2 კაცი: — შემაჭვრიტინებზე თუ კაცი ხარ ერთი.

მეკარე: — არ შეიძლება!

1-ლი კაცი: — მე მხოლოდ ცალი თვალით შევიხედავ...

მეკარე: — გნან ტო, გიუტეს?

საქმეთა მმართველი: — არ მოსულა, კაცო, არ გესმის შენ?

(გულმოსული აღებს მაგიდის კარებს. კაბინეტი ცარიელია).

აჰა. ხომ გჯერაგს ეხლა.. (გადის ნახევარი საათი).

მე-3-მე კაცი: — მოდის... მოდის..

მეკარე: — (წელში გასწორდება. ძიძიგური კაბინეტში შედის. უკან მოსდევს მთხოვნელთა ამაღლა.) მობრძანდით..

საქმეთა მმართველი: — (შედის კაბინეტში ქალაღებთი.) მე ამფხანკებო სულ ხუთ წუთში გამოვალ...

(გადის 3 საათი. უკვე შუადღის 12 საათია, რიგში მდგომთ ზოგს სძინავს მაგიდაზე, ზოგს ამთქნარებს.)

1-ლი კაცი: — რას შვრება ნეტავი კაცი შით?

მე-2: — თუ კერძო საქმე აქვთ მისაღებ საათებში კი არ უნდა გაგვაცდინონ. (გამოდის საქმეთა მმართველი.)

1-ლი: — ვაი მომკალი კაცი.. მაზოლი, შე ოჯახდასაქცევო, ეილე ფეხი ზევით...

მე-4 კაცი: — (ყვირილზე გამოიღვიძა.) ა! მოვიდა?

საქმეთა მმართველი: — (მეკარეს.) შენ წადი და ერთი პაპიროსი მიყიდე, მანამდე მე ვიქნები შენს პოსტზე.

1-ლი: — რავა! კიდეც უნდა შებრუნდე შიგ თუ?

საქმეთა მმართველი: — მე ამ წუთში მოვალ...

მე-2-რე: — კაცო. განცხადება მაინც გამოაკარით, რომ დღეს არავის არ დაბულობს...

მე-5-თე: — ვაიმე... პირველის ნახევარი სრულდება. დევილუბეთ... ალბათ ახლა დასვენება ექნებათ.

საქმეთა მმართველი: — არა, ამხანაგო, არ ვისვენებთ.

მეკარე: — ესეც პაპიროსი..

საქმეთა მმართველი: — (შედი კაბინეტში ქალაღებთი.) მოითმინეთ, მე ამ წუთში გამოვალ... (კაბინეტიდან გამოდის ძიძიგური და მიდის.)

1-ლი: — სად წავიდა, კაცო?..

მე-2-რე: — აღარ მოვა?

მეკარე: — მოვა, მოვა!

ახლად მოსული ქალი: — ზაველუში ნი?!



ნახ. კანდელაკისა.

ქელაში ახალი აბანო მოწაფეების საერთო საცხოვრებლად გახადეს. საბჭომ კი ამის შესახებ არაფერი იცის.



— ეი, კოტე ჩქარა ამოდი მაგ აბაზანიდან, საბჭოს თავმჯდომარემ არ დაგინახოს.

სკოლისა გამგემ ზაფხულოდ უზრუნველობით ატარა, ვერ გაუკეთა ამიტომ სკოლას რემონტი პატარა.

სამი თვეაო ზაფხული, მოვასწრებ, რა მაჩქარებსო, რემონტი უნდა სახურავს, იატაკს, ჭერს და კარებსო.

გავიდა ცხარე ზაფხული და დადგა სექტემბერია. შეკეთებული არ არის იატაკი და ჭერია.

ახლა კი გონზე მოვიდა, თავში გაირტყა ხელია:

მიშველეთ, მომეხმარებით,

დადგა სასწავლო წელი და გიგლიორთქვა

— რას აკეთებდი სად იყავი ზაფხულში ჩემო ძამია?

— საქმისთვის არა მეცალა ერთი წუთი და წამია.

წულ ვისვენებდი, ან კიდევ ღროს ვატარებდი სმასდა, დაგბტოდი აგარაკებზე და ვცურაობდი ჩღვაშია.

მაშ ახლაც გაისეირნე, ანაგრძე შენი გზანია. შენს მაგიერად სკოლაში ახალსა გამგეს გზავნიან.

ზმუკი

„მზრუნველი“ მამა

ნახ. შ. ლებეშვილისა

- საქმეთა მმართველი: — ნიეტ, ბატონო...
- ქალი: — სკოლა პრიდიოტ?
- საქმეთა მმართველი: — კანფინო...
- პედაგოგი ქალი: — მე მხოლოდ ხელის მოწერა მინდა..
- მე-2-რე: — მეც მხოლოდ ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი... (გაღის 30 წუთი. ძიძიგური დაბრუნდა.)
- 1-ლი: — (საქმეთა მმართველს.) არ შეხვიდე კაცო გამოდი აქეთ...
- მე-2-რე: — თუ ძმა ხარ, ნუ დაგვლუპავ..
- საქმ. მმართველი: — მაცალე კაცო... (შევიდა.)
- შარიქაძე: — (46-ე ქართ. სკ. დირექტორი.) — ძიძიგური აქ არის?
- მეკარე: — აქ არი...
- შარიქაძე: — ჰო და თუ აქ არი შემისვი აბა!
- მეკარე: — ვერ გავიშვებო.
- შარიქაძე: — ოჰ, ვერ გამიშვებ, კი არა, მაცალე ერთი ქალო... (შევიდა.)
- საქმეთა მმართველი: — (გამგის კაბინეტის კარებიდან.) ლამაზიშვილი თინა რომელია.
- ქალი: — აქა ვარ...
- საქმეთა მმართველი: — მობრძანდით კაბინეტში.. (გაღის 1 საათი.)
- 1-ლი: — მოგვკვდი, აღარ შემიძლია მეტი...
- მე-2-რე: — დავკარგე მთელი დღე..
- მე-3-მე: — (მოთმინებიდან გამოსული.) გამისვი, თუ ქალი ხარ, მე მეტის მოც-და აღარ შემიძლია... (აღებს კარებს. კაბინეტი ცარიელია.) ბიჭოს!.. აქ არავინაა!
- მე-4-სე: — აღარავინ არი?
- მე-2-რე: — აქედან არავინ გამოსულა და სად ვაპქრა კაცო ის კაცი?..
- მეკარე: — მეორე უკანა კარებიდან გავიდოდა... (ყველა რიგში მდგომნი შედიან კაბინეტში.)
- ძიძიგური: — (შემოდის წინა კარებიდან.) რაშია საქმე?..
- ყველანი ერთად: — მე, ამხანაგო... მომისმინეთ!.. მე პედაგოგი ვარ... ჩვენი სკოლა... რუსულის მასწავლებელი არ გამოცხადდა...
- საქმ. მმართველი: — კაცო... ბაზარია თუ რა არი?.. ერთმა ილაპარაკეთ!..
- მეკარე: — ზედმეტი ხალხი გარეთ გავიდეს. (აღვილიდან არავინ იძვრის.) გამობრძანდით გარეთ!.. (არავინ არ გაღის დღის სამი საათი.)
- 1-ლი: — ფუ, ასეთი მუშაობას რა ვუთხარი მე!.. (მიდის გულმოსული.)
- მე-2-რე: — სულ მიდიხარ?.
- 1-ლი: — აბა რა ვქნა კაცო!..
- მე-3-მე: — ჰო, წადი — წადი, ერთი კაცი მაინც მოგვაკლდება.
- მე-6-სე: — მე რაიკომიდანა ვარ... (შემოდის კაცი. ძიძიგურს.)
- კაცი: — ზევით გეძახიან.. (ძიძიგური გაღის.)
- მე-2-რე: — ვაიმე დავილუპეთ... ისევ წავიდა. (ჩაიკეცება ფეხმოტეხილ სკამზე და წაიქცევა.)



— არა გრცხვენია, სამი წელიწადია ამ სკოლაში დადინარ და ერთხელ არ თქვი, რომ ასე შორს ყოფილა შენი სკოლა!..

ჩვენი სკოლის მეოთხე კლასი სამასწავლებლო ოთახთან მდებარეობს. საკლასო ოთახიდან ერთი კარი პირდაპირ სამასწავლებლო ოთახში გადის, მეორე კი, დერეფანში. და აი ამ კლასშიც, როგორც ყველა კლასებში მოსწავლეებმა სანიტარიის კომისია აირჩიეს სისუფთავის დაცვის მიზნით.

ამასწინათ, მეოთხე გაკვეთილის დასაწყისში, მასწავლებელი რომ კლასში შემოვიდა, მხოლოდ ერთი ქალაქი ეგდო ოთახში, ირაკლის პარტის გვერდით. მასწავლებელმა საყვედური გამოუტყა ირაკლის ოთახის მონაგვიანებისა და სანიტარულ მინიმუმის ცუდად დაცვის გამო. ეს საყვედური იმას ნიშნავდა, რომ ირაკლის აედო იატაკიდან ეს ქალაქი და სანაგვე ყუთში ჩაეგდო. მაგრამ ცივ უარზე დადგა ირაკლი: მე არ დამიგდია და ვერც ავიღებ, კეთილ ინებოს და სანიტკომისიამ ყურადღება გაამახვილოსო.

სანიტკომისიის წევრმა ნინომ აიღო ის ქალაქი იატაკიდან, სანაგვე ყუთში უნდა ჩაეგდო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალაქზე რაღაც ნაწერი იყო და მასწავლებელს მოახსენა:

— რატომ ვდაობთ, მასწავლებლო? ქალაქს ნაწერიდან ეტყობა, რომ ჩვენი კლასის ერთ-ერთ მოსწავლეს უნდა ეკუთვნოდეს, გამოვარკვიოთ და პატრონმა აგოს პასუხი სანიტმინიმუმის დარღვევისათვის...

ნაწერის წაკითხვა ნინოსვე დაავალეს.  
— გ...ბათ... გულ...ბათ... — მხოლოდ ერთი სიტყვა ამოიკითხა ნინომ ნაწერიდან. მეტის ამოკითხვა ვერ შესძლო, რადგან ისე იყო ნაჯღაბნი, რომ თვით დამწერიც ვეღარაფერს ამოიკითხავდა.

მასწავლებელმა ნინოს უსაყვედურა:  
— ქალი მეოთხე კლასში ხარ და რიგონად კითხვაც არ იცი! ვნახოთ გამოცდის დროს...

ნინომ გამოსავალი მოიხატა:  
— რა საჭიროა მეტის წაკითხვა მასწავლებლო? გულბათი ჩვენ ერთი გვყავს კლასში, მორჩა და გათავდა. იმის დამწერილი ყოფილა და იმან აგოს პასუხი!

მაშინ გულბათმა ამოიღო ხმა:  
— ეს ამბავი, ვხედავ, განზრახ მოწყობილს ჰგავს, მე არც არაფერი დამიწერია და არც იატაკზე დამიგდია.

მასწავლებელმა ქალაქის სანაგვე ყუთში ჩაგდება დააპირა, რომ წინ სანიტკომისიის თავმჯდომარე გივი გადუღდა და ქალაქი გამოართვა.

მოწაფეებმა არ აცალეს გივის ქალაქს სანაგვე ყუთში ჩაგდება, ყველამ ერთხმად დაუწყო გაკიცხვა გულბათს და გულბათმაც ვერ მოითმინა: ადგა, გივის ხელიდან წაგლეჯა ქალაქი, სანაგვე ყუთისკენ გაემურა, გზაში შეჩერდა და თქვა:

— ყველას ადვილად შეუძლიან დარწმუნდეს, რომ ამის დამწერი მე არა ვარ! აიღეთ ჩემი რვეულები, შეადარეთ ამ ნაწერს და მიხვდებით, რომ ჩემი ხელნაწერი ამას არ ჰგავს. რაც შეეხება ამ ქალაქის სანაგვე ყუთში ჩაგდებას, არაფერია, მაგრამ სირცხვილი იმ ამხანაგს, რომელმაც ეს ქალაქი დააგდო და არ ამბობს. იმ ამხანაგის გვარი და სახელი მე კარგად ვიცი, მაგრამ მერმე ვეტყვი და შევარცხვენ.

ყველამ ერთხმად სთხოვა გულბათს დამნაშავეის გამოძიება.

— ჩვენს კლასში ყველა კარგად წერს, ყველას კარგი ხელი აქვს ერთის გარდა. ეს ნაჯღაბნი კი, რომლის წაკითხვასაც ეშმაკიც ვერ მოახერხებს — იმ კაცს უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც გუშინ სუსტი მიიღო ქართულ წერაში. დიახ, იმას ეკუთვნის და როგორც ეტყობა ჩემთან მოუწერია ეს წერილი.

საიდუმლო გამოიჩინა. მასწავლებელმაც სცადა წერილის წაკითხვა სიმართლის გაგების მიზნით, „გულბათის“ მეტი კვრაფერი

ამოიკითხა, ქალაქი დამწერი ყუთში ჩაყარა და წერილის „ავტორს“, რომელიც ჯერ კიდევ ჩუმად იჯდა თავის ადგილას, საყვედური გამოუტყა.

„ავტორმა“ ველარ აიტანა ასეთი საყვედური და ტირილი დაიწყო.

თან ამბობდა:

— მე რომ წერაში სუსტი მივიღე ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სხვა ყოველგვარი სისაძაგლეს მე ჩავიღინო. მე არავითარი წერილი არ მიმიწერია გულბათისთვის და არც ეს ქალაქი მეკუთვნის. მე პროტესტს ვაცხადებ ამის გამო და მოვითხოვ ახლავე ამოიღონ ის ქალაქები სანაგვე ყუთიდან, შეადარონ ხელნაწერს და დარწმუნდნენ, რომ მაგის ჩამდენი მე არა ვარ!.. მე ცუდად ვწერ, მაგრამ ჩემი ნაწერის წაკითხვა მაინც შეიძლება.

ქალაქის სანაგვე ყუთიდან ამოღება არავინ იკისრა და ბოროტმოქმედების კვალი კიდევ საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ კლასში სკოლის საქმის მწარმოებელი ივანე ალექსანდრესძე არ შემოსულიყო.

ივანე ალექსანდრესძემ ასე მიმართა მასწავლებელს:

— ბოდიში, თქვენ ხომ არსად გინახავთ განათლების განყოფილებიდან გამოგზავნილი ხელნაწერი მოძარტვა, ფრიალ საქმიანი ქალაქი, რომელსაც „ავტორიტეტული პირა“ აწერდა ხელს?

მასწავლებელმა უარყოფითად უპასუხა ლეგანდარტა, რომ: ქალაქი ნახეს და სკაიდულიც იყო იმ ქალაქის გარშემო, მაგრამ ის საქმიანი ქალაქი არ ყოფილა.

— ბოდიში, როგორ იწყებოდა იმ ქალაქზე ნაწერი ამბავი? — იკითხა ივანე ალექსანდრესძემ.


მასწავლებელმა მიუგო:  
— ჩვენ ერთი სიტყვა ამოვიკითხეთ მხოლოდ — „გულბათ“.

— „გულბათ“, თუ „გვეალებათ“? ის ყოფილა... აჰ! — ამოიოხრა ივანე ალექსანდრესძემ, ქალაქის სადმყოფობა იკითხა, სანაგვე ყუთიდან ნახევები ამოკრია, ერთი-მეორეს მიაწყო და სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

მასწავლებელმა წყლით სავსე გრაფინისკენ აიღო კურსი, მაგრამ გულადი გამოდგა ივანე ალექსანდრესძე.

— დაუკვირებლები ხართ, ამხ. მასწავლებლო, დაუკვირებლები, აბა მითხარით როგორ მოვიქცე ახლა, ჰა?! — საყვედური გამოთქვა ივანე ალექსანდრესძემ და კლასიდან ბარბაცით გავიდა.

## „აქაბ-იქაბ“



ერთ სკოლაში გამგედ არის, მეორეში — დირექტორად, მესამეში — თანამშრომელად, მეოთხეში, კი — ლექტორად. ყველგან არის... აღარ ჰყოფნის ორი ფეხი, ერთი თავი და ამიტომ გამოება მას თავფეხი უამრავი.

სცენა წარმოადგენს თბილისის ერთერთ განათლების განყოფილებას.

განათლების განყოფილების კადრების ჯგუფში უამრავი ხალხია. შემოდის მასწავლებელი.

**ჯგუფის ხელმძღვანელი:** — რა უბედურებაა, ჩვენი ახალგაზრდობა უმადლესს ამთავრებს და ზოგმა მათგანმა რუსული არც კი იცის სერიანად.

**ლადიმე:** — (ერთერთ პედაგოგს) თქვენ რომელ სკოლაში გაგვზავნენ? —

**პედაგოგი:** — არ ვიცი.

**ხელმძღვანელი:** — (გაჯავრებული) ეი, ამხანაგო! მანდ რას ლანდარობ და ზგიტაცის ეწევი.

**ლადიმე:** — დაგვეიანებია კადრების განაწილება ამხანაგო!..

**ხელმძღვანელი:** — ეგ შენი საქმე არ არის. ხომ იცი ნათქვამია — მამაჩემმა დამიბარა სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო — და შენც ნუ ერევი ჩემს საქმეში.

**ლადიმე:** — კეთილი და პატიოსანი. (თავისთვის) ოღონდ სადმე მასწავლებლად გამგზავნე და ენასაც არ ამოვიღებ.

**ხელმძღვანელი:** — გიორგი ბაიყუშაძე, თქვენ ისტორიის მასწავლებლად ხართ დანიშნული.

**გიორგი:** — ისტორიის ვერ ვასწავლი. მე გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ. ანკეტაც ასე შევავსე და შენ რაღა ისტორია შემომაჩეჩე.

**ლადიმე:** — შე ვასწავლი ისტორიას ამხანაგო!

**ხელმძღვანელი:** — შენ არავინ გეკითხება. დათა სურვილად შენ მათემატიკაში ხარ დანიშნული.

**დათა:** — რას ჩუმობთ, მე მათემატიკის მასწავლებლობა არ მითხოვია. ფიზიკის მასწავლებელი ვარ.

**ლადიმე:** — მე ვასწავლი მათემატიკას.

**ხელმძღვანელი:** — გაჩუმდი მანდ, შენ არავინ გეკითხება. მოვა შენი რიგიც! (ხელმძღვანელმა ხელში ლადიმეს განცხადება აიღო.)

**ლადიმე:** — (ხარბი თვალებით შეხედა მის განცხადებას) — ჩემი რიგიც მოვიდა. (გამგეს მიუახლოვდა. მაგრამ რაკი დაინახა, რომ გამგემ მისი განცხადება მარაოდ გამოიყენა და სახის გაბრლილება დაიწყო, უკან დაიხია და ჩემოდანზე ჩამოჯდა.)

**ხელმძღვანელი:** — მარო მშვენიერაძე, ქეთო ჭიკტიკაძე, ლუბა მალხაზაძე.

**მასწავლებლები:** — (ერთად) აქა ვართ.

**ხელმძღვანელი:** — თქვენ დანიშნული ხართ ფიზიკის მასწავლებლებად.

**ქეთო:** — უი ქა, ფიზიკა? მე ხომ ისტორიკოსი ვარ?

**მარო:** — არც მე მინდა ფიზიკა.

**ლუბა:** — (უკმაყოფილოდ) არც მე!..

**ლადიმე:** — მე ვასწავლი ფიზიკას.

**ხელმძღვანელი:** — ახლა კი ამხანაგებო, სამუშაო დრო გათავდა, შემოიარეთ ხვალ! (შარვალი გაისწორა. ხამუთი მოიჭირა და ჩაქეტა მაგიდის ყუთები).

**მასწავლებლები:** — ჰმ, ამას ჰქვია კადრების განაწილება? ჩვენ საუკეთესო მასწავლებლები ვართ ჩვენს საგნებში და ამან როგორ აურიო ყველაფერი?

(მასწავლებლები გადიან. სცენაზე რჩებიან ხელმძღვანელი და ლადიმე).

**ლადიმე:** — ამხანაგო გამგევ! გთხოვთ დღესვე გადასწყვიტოთ ჩემი საქმე.

**ხელმძღვანელი:** — რა გვარი ხართ?

**ლადიმე:** — ალუჩაძე.

**ხელმძღვანელი** (ყუთი გამოაღო. სიაში თავისუფალ ადგილებს ფანქარი გაუსვა): — მაქვს მხოლოდ რუსულ ლიტერატურაში თავისუფალი ადგილი.



— ბაბუათქვენს სოფელში წერილი უნდა გავუგზავნო. მე გიკარნახებ და ყველამ დაწერეთ!

— დედილო, რა საჭიროა ერთი და იგივე წერილის დაწერა რამდენიმე ცალად?

— სხვადასხვა რაიონის ფოსტის ყუთში ჩავადებ და ერთერთმა რომელიმე ვეგზ მიადწიოს თავის დანიშნულებას!

**ლადიმე:** — ძალიან კარგი! რამდენია?

**ხელმძღვანელი:** — მაშ კარგი, დამიწერეთ განცხადება რუსულად.

**ლადიმე:** — (თავის კეფა მოიფხანა. დაჯდა და დაიწყო წერა. ხელმძღვანელს) — ლიკსკოლა დავამთავრე. განათლებას რა მნიშვნელობა აქვს? რაკი რუსული არ მეხერხება არაფერს არ ნიშნავს. სკოლა მაშ რისი სკოლაა, თუ არ გამოვიწაფე იქ?

**ხელმძღვანელი:** — არა უშავს, შემოიარეთ სწავლის დაწყების შემდეგ.


\*  
\* \*

ლადიმემ მართლაც შეიარა სწავლის დაწყების შემდეგ ჯგუფში, კარები შეაღო, მაგრამ იქ სხვა გამგე დახვდა.

— რაღა ახლა მოხსნეს ის ოჯახქორი, რა კარგი ბიჭი იყო ბედი არ მქონია და ისაა, თორემ, რომელიმე სკოლაში უსათუოდ გამაგზავნიდა ისე შევატყე მას იმ დღეს ნასტრაენიაში. — სთქვა ლადიმე ალუჩაძემ და ცხვირდაშვებული გაბრუნდა უკან.

# გამოაღბა თვალსაჩინო პეტროლით სწავლებასათვის

მთელ რიგ რაიონებში სასკოლო მშენებლობა, ვერა-  
რაც არ დამთავრებულა. გიგანტური  
ნახ. დონისა.



მასწავლებელი: — ეს არის ანი, ეს არის ბანი.

მოწაზა: — ბანი კი არის, მაგრამ ჰერს როდის დაგვიხურავენ, მასწავლებლო?



# ა მ ხ ა ნ ა გ ო ნ ი ა ნ გ ო!



რკინისგზის პირველ საშუალო სკოლის პირველ კლასში ხშირად ასეთს სურათს შეხვდებით:

გაკვეთილის დაწყების შემდეგ კლასში შემოდის მასწავლებელი ლიდა შუშანია და ერთერთ მოსწავლეს მიმართავს:

— აბა, ნემსაძე, რა გვაქვს გაკვეთილად?

— ცი, ცი, ცი, მასწავლებელო...

— მითხარი ცოცხლად.

— ცი, ცი, ცი, ლექსი არ ვიცი.

— მოდი მასწავლებელო...

— ჰო, მერე?

— მოდი მასწავლებელო... მოდი მასწავლებელო...

— მოვედი, ჰო, მერე?

— ყუ... ყუ... ყუ...

— ყური ამი...

— ამი... ამიწი მასწავლებელო...

მასწავლებელი ყურს უწევს ნემსაძეს და ტუქსავს:

— რატომ არ იცი გაკვეთილი?

— ვი... ვიცი მასწავლებელო...

— მაშ რატომ გეშვება?

— მეშ... მეშინიან მასწავლებელო...

— რის გეშინიან შე გომბიოვ?... — ყურის აწევის მასწ...

— აბა, მაშ გაიმეორე.

— ცი, ცი, ცი, ლექსი არ ვიცი.

— მოდი მასწავლებელო

ყური ამი... ამიწი...

— ესეც თაღლითობისათვის! — ამბობს მასწავლებელი და ყურს ხელმეორედ უწევს გაკვეთილის „არმცოდნე“ მოწაფეს.

ნემსაძე ტირილით დაჯდება პარტახზე:

— უუუ... უუუ...

— უუ უენ და ღვთის ცეცხლი, გაკვეთილი უენ არ იცი და კიდევ უენ ტირი?!

— მტკივა მასწ... მასწავლებელო...

— მაშ კუთხეში გამოდი, იქ დაგამდება.

მოტირალი ნემსაძე კუთხეში გადის.

— აბა, ნოდარ ნადარეიშვილო, ცი, ცი, ცი, — ახლა მეორე მოსწავლეს მიმართავს მასწავლებელი.

— ლექსი არ ვიცი... — განაგრძობს ლექსს ნადარეიშვილი.

— რატომ არ იცი? — დაუყვირებს მასწავლებელი და სილას გააწნავს.

— ვიცი მასწ... უუ... უუ... — ტირის ნადარეიშვილი.

— მაშ რად მითხარი ლექსი არ ვიციო?

— მე ლექსი ვთქვი მასწ... უუუ...

— მაშ ახლად მითხარი.

— უუ... უუ... ცი, ცი, ცი, უუ... უუ... ლექსი არ ვიცი...

— უუ... უუ... მოდი მასწავლებელო...

— უუ... უუ... მასწ... ავლ... ებელო...

— ყური ამიწი... ყური ამიწი... — უკარნახებს ნადარეიშვილს მოწაფე ავთკობრეიძე.

მასწავლებელი ყურში ჩააფრინდება მოკარნახე კობრეიძეს:

— პაუალუსტა, მაგაზე გაწყენიებ?

ყურაწიულ მოსწავლეს კუთხეში აყენებს მასწავლებელი.

— გადაყლაპეთ ენები, ტირილი არ გამაგონოთ თორემ... რომ ღმუხნარო გალობის გაკვეთილი კი არ არის ახლა.

— გალობა შემდეგ გაკვეთილზე გვაქვს, მასწავლებელო! — წამოიძახებს მოწაფე ლეილა კუბრაშვილი.

— მაშ აქედანვე იგალობე! — დაიყვირებს მასწავლებელი, ლეილა კუბრაშვილს თავში წამოარტყას და კუთხეში გაიყვანს.

ამ დროს დერეფნიდან ფანჯარაში შემოიხედავს მოწაფე გელა გრძელიშვილი.

— ჰაიტ, დეზერტირი! — ყვირის გრძელიშვილის მიმართ მასწავლებელი — შემოათრით ახლავე კლასში.

მოწაფეები დერეფანში გადიან და ძალით შემოჰყავთ კლასში გელა.

— რად დაიგვიანე ყმაწვილო? — ეკითხება მასწავლებელი გელას.

— არ დამიგვიანებია მასწ...

— მაშ რატომ არ შემოხვედი?

— გალახვის მე... მეშინოდა მასწ...

— რახან გეშინოდა ესეც უენ! — და მასწავლებელი ლაზათიან სილას აკმევს გელას.

გელა კუთხეში მდგომ მოწაფეებს ტირილით უერთდება...

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ პიონერთა ხელმძღვანელი ხვდება დერეფანში მასწავლებელ ლიდა შუშანიას და განუმარტავს, რომ მოსწავლეებზე ასეთი მოპყრობა ყოველად დაუშვებელია.

— ჰმ!... — უკვირს მასწავლებელ შუშანიას — უენ უნდა თბილისის მე-15 სკოლის პიონერთა ხელმძღვანელი იყო, პიონერებს რომ გალახვის შემდეგ სარაიაში ჩაგიმწყვდევინ და დარაჯად დირექტორის მოადგილე შალვა მხვიძე დაუდგება, მაშინ მიხვდები თუ რა კეთილი მასწავლებელი ვიარ... როგორ მოგწონთ ასეთი ამბავი ამხანაგო ნინაგო?

გია

## ცხად-ცხელი აგბები

### სანიტ-ლაშქრობა

თბილისის პირველ სრულ საშუალო სკოლის დირექციამ მოიწვია თორმეტი მეეზოვე სკოლის ეზოდან ნაგვისა და ერთი მეეზოვის გასაგველად.

შპუკი.

### ახალი სიმღერა

სოფ. ზედუბნის (ჭიათურის რაიონი) დაწყებითი სკოლის გამგემ გრიგოლ გაბრიჭიძემ გუშინ სკოლის სახურავზე შეასრულა შემდეგი სიმღერა:

რა ვუყო რა მოვუხერხო ჩენი სკოლის სახურავსო, დარში წვიმა არ ჩამოდის ავდარში ვინ დახურავსო. ირფიტალო.

### თქვენ დაგენაცვლეთ მამლეგო!

ფოთის სრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა ასეთი ლექსი გამოთქვეს ფოთელი მამლების მისამართით:

თქვენ დაგენაცვლეთ, მამლებო, გაკვეთილს ნულარ გავიცდენთ, მასწავლებელი ლალიძე აღრიან გამოადვიქეთ. ჯუფრიტალი

## ეზარაღა

ნახ. დონისა.



— დავიღუბე, დედიკო, მასწავლებელი, რომელსაც ჩემი მოხამადადებული ფული წინდაწინ მიეცი სხვა სკოლაში გადაიყვანეს: ჩემს ნიშნებს ვინდა გადაამისწორებს?!

## ქსანია — სანია

ბაქანი „თამარა“, მოლარე ქსენია. დასჩემდა ქალბატონს ხალტურის სენია.

მას უყვარს ზაფხული, მრავალი მეზავერია. სხვა დროს კი მას იპყრობს დარდი და ჯავერია.

ქაფისა დენაში ვით თონე ვახურდა. არა აქვს არადროს გროშები და ხურდა.

მუდამ სტეხს მეზავერებთან ჩხუბსა და ზაურსა, ხურდას არ იძლევა აჭახს და შაურსა.

და მუშაობაში ის მუდამ სწრაფია. ორმოცი მანეთი დღიური ქაფია.

გამვლელო

# პეკს ქოჩნიღს ღავეს- ნაი მებოგარის ღავეკარე

# მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ უ ი

სამგზავრო მატარებლებში მოხალტურე „მუსიკოსები“ და „მათხოვრებლები“ დადიან. ყურადღებას არავენ აქცევს.

ნან. ღონისა.  
გეგმვისული  
გეგმვისული

ჩემი დედაშვილის მანასე ქუთათელაძისა-  
გან ამას წინათ დებეშა მივიღე: „ხოშრევან  
აჩქაროდ ჩამოდი ქალს ვთხოვლობ“-ო. იმე,  
გამეხარდა მარა რა გამეხარდა. აბა ვინ იფი-  
ქრებდა თუ მანასე, რომელიც ორმოცი წე-  
ლიწადია სულ ქალების რჩევაშია ანგარიში  
არ მოგტყუვდეთ და მაგის საშველს აღარა-  
ფერი დაადგა — ამ მოხუცებულობის დროს  
გადასწყვეტდა დიდი ხნიდან ნანატრი ბედ-  
ნიერების კარების გაღებას. ვიფიქრე მაყრო-  
ბას რაღა დავამადლი-მეთქი და ჩემ ცოლს  
მივმართე.

— აბა ჩემო ქონია, მომინახე ჩემი ჩერ-  
ქესკა, ქამარ-ხანჯალი, ჩექმები, ერთი კიდევ  
მოვიგონო ჩემი ძველი ახალგაზრდობა-მეთქი,  
ქონიაც თავისებურად დატრიალდა ჯარასა-  
ვით და ათ წუთში უკვე გამოშტიკინებული  
ვიდექ სარკის წინ. ჰაიტ! ჩემო მანასე, შენს  
სიყრმის მეგობარს არასდროს არ შეურცხვე-  
ნიხარ კამბანიაში, სადაც მუდამ ტოლუმბა-  
შად ვყოფილვარ და არც ეხლა შეგარცხვენს-  
მეთქი, გავივლე გუნებაში და ბათუმ-ბაქოს  
მატარებლით ხლეწა მოვადინე სამტრედიის  
სადგურზე. აქედან ავტობუსით უნდა გავ-  
ქროლებულიყავი წულუკიძეში და იქიდან  
კიდევ ივანდიღში.

კაი ხანია წულუკიძეში აღარ ვყოფილვარ.  
სადგურზე მითხრეს: მანქანა ორ ღღეში  
ერთხელ გადის „პაკრიშკების“ უქონლობის  
გამო... ძალზე დავღონდი, მაგრამ რას ვი-  
ზამდი უკან ხომ ვეღარ დავბრუნდებოდი. ის  
ღამე სასტუმროში გავატარე. ხანჯლით იმ-  
დენად ვავრთულიყავი ბალნინჯობთან და  
რწყილებთან ბრძოლაში, რომ თავზე რო-  
გორ დამთენებოდა ვერ გავიგე.

მეორე საღამოს, ასე მზე ცულის ტარზე  
იყო დასული, რომ როგორც იქნა ერთი ვაი-  
ვაგლახით, კივილ-ჩხივილით და უბედურე-  
ბით, სილიოტკებივით ჩავეწყვეთ მანქანაში.  
ბარგი-ბარხანა ზოგმა მუხლებზე დაიწყო.  
ზოგმა მხრებზე, ზოგმა თავზე და ზოგმა კი-  
დევ ვინ იცის სად.

უცხად მანქანამ ჩამოიქროლა და ჩვენს პირ-  
დაპირ სადგურთან გაჩერდა. შევხედე მარა  
რას შეხვდავ: ერთი ოცდახუთიოდე კაცი და  
ქალი ძლივსძლივობით გადმოვიდნენ მანქანი-  
დან, ზოგს ცხვირი ქონდა დაჩეჩქვილი, ზოგს  
შუბლი, ზოგს თვალი და ვინ იცის კიდევ რა.  
აღარც ერთს კაცის ფერი აღარ ეღოთ. არი-  
ქა სკორი პომოში-მეთქი შევკვივლე, მაგრამ  
ყურადღება არავენ მომაქცია, რა ამბავია, რა  
მოხდა, ხალხი დასახიჩრებულა და რაღა ყვე-  
ლა გულგრილად უყურებს-მეთქი. — დავი-  
ყვირე.

— დაწყნარდით ამხანაგო, ეს ჩვეულებრი-  
ვი ამბავია ამ გზებზე. — გადმომილაპარაკა  
გვერდში მდგომმა.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მარა შენც არ მო-  
მიკვდე, მე აღვილიდან ვერ დავიძერი. ბოლოს



— ეი... ეი!.. გაიღვიძე კონდუქტორი ხომ არ ხარ, ერთი საათია  
გაქანჯალე და ვერ გავაღვიძე, ადე ერთი შაური მაჩუქე!..

ერთმა ახალგაზრდამ კოკლობით ჩამომიარა  
გვერდით, შევაჩერე, ვკითხე: მითხარ ბიძიკო,  
რა უბედურება გადაგზდათ-მეთქი.

— წულუკიძიდან ჩამოვედიოთ, — მიპასუხა  
იმანაც გულგრილად.

— ბიჭოს!.. წულუკიძიდან როგორც მახ-  
სოვს სულ საფოსტო გზა მიდის, იქ არსად  
ხრამები არ არის და თქვენ სად გადაიჩეხეთ-  
მეთქი.

— გადაჩეხით არსად არ გადაჩეხილვართ,  
მაგრამ გზაზედ იმდენი ორმოვებია გაფანტუ-  
ლი, იმდენი ბორცვებია და უსწორ-მასწო-  
რობა, რომ გზას კი არა აღელვებულ შავ  
ზღვას მოგაგონებსო. იმდენი სარტალ-მარტა-  
ლი ვაკეთეთ ჰაერში, რომ ზოგი გადაცვინ-  
დნენ და ეხლა ფეხით მობრძანდებიანო.

— იიმიე. ორი ღღის სიკოცხლე დამრჩენია,  
თავი მოსაკლავი სადა მაქვს? გამიშვით, თუ

არა დაგჭრით სუყველას-მეთქი — ვჭეკე ერთი-  
შევატრიალე ხანჯალი, პრობკასავით ამოვარ-  
დი მანქანიდან და გამოვშვი უკან სახლისკენ.

ეხლა საყვედურს მითვლის სიყრმის მეგო-  
ბარი, რომლისთვისაც მთელი ორმოცი წლის  
მანძილზე არაფერი მიწყენინებია, ქირი და-  
ლხინი ერთად გავვიყვია, ბევრი კრიმანტული  
და შვიდკაცა ვეთქვამს და ეხლა, როცა მის-  
ცხოვრებაში ახალი ბედნიერების შადრევანი  
შეიჭრა, მე გვერდით არ ვყავდი. დაირღვა-  
ძველი მეგობრობა. სამტრედიის საგზაო საე-  
ქსპლოატაციო უბანო. ასე უნდა მოხუცებუ-  
ლობის პატივისცემა? ჩემი ქალარა წვერო-  
მანაც მოგერიდებათ. სირცხვილი თქვენი ვერ  
ყოფილხართ, ბიძია, კაი ვაუჟაკები.

ნოშრევანი

ნახ. დონისა.

ქვ.-სიმონეთის (ქუთ. რ.) ფოსტის  
გამგე ამბროსი თვითნებურად მუშაობს  
და უღიერად ეპყრობა სოფელეებს.

შაირის სიტყვით მესტიერემ  
გრიგოლაშვილი ახსენა.  
რა ვუყოთ მერმე, რომ ჰქვია  
ამბროსი არა-არსენა.

ფოსტის გამგედა დანიშნეს,  
ულვაშები დაიმშვენა  
სხვების ყანებში თვის ძროხა  
გააქენ-გამოაქენა.

ვაზეთის დამტარებელი  
ძალიან გაგვინაწყენა,  
ის მოხსნა და მის ადგილზე  
დისშვილი წამოაყენა.

ფოსტის კარებს მივჭერდვ  
რა ბიჭობა დამირჩესა.  
საქმის დროსა ყანას ვთოხნი,  
დახლიც კარგი დამიდგესა.

ვაზეთებით ხალტურობა  
ჩემი არის საქმე ესა.  
ახლის ნაცვლად ხელისმომწერთ  
გასულ ნომერს მივცემ დღესა.

ხალხში ამბობს: ვინ აცნობებს  
ძია ნიანგს ამ ამბებსა?  
ერთი ბიჭი, ფოსტის გამგე  
რავებს სჩადის ამბებსა.

„ბოლი“.



მიტო საშუაია (სტადიონის დირექტორი): — მისაყვედურებენ  
ბილეთებს შინაურებზე ანაწილებსო, თუ ასეა მოზრძანდნენ და  
თვითონ სცადონ ასეთ სალაროში ბილეთების გაყიდვა!..

## საუოსგო არაკ-მართალი

იყო და ნამდვილად იყო აი რა: ადამიანზე უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი კაცი ვარლამ დანელია, რომელიც კარლ მარქსის მოედანთან პლატონის ქ. №1-ში ცხოვრობდა და ცხოვრობს. ერთ დღით ვარლამი ჩვეულებრივად ადრე ადგა, პლენანოვის პროსპექტისაკენ გაემართა, ფოსტის სართულების კიბეები აირბინა და რამოდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ დასწერა დეპეშა: „სამტრედია. გორკის ქ. №18 შენგელიას. ალექსანდრე მომყავს დამხვდი სადგურზე. ვარლამი“. ვარლამმა სარკმელში დეპეშა გადააწოდა.

— სად აგზავნი, კაცო, ამ ელვას? — შეეკითხა ვარლამს ნაცნობი.

— ოპ, გამარჯვება შენი. სამტრედიაში ვგზავნი.

— რაშია საქმე?

— სიძე მყავს ძალიან ავად და ამ სალამოს მიმყავს სამტრედიაში...

— რომელი? ალექსანდრე?

— ჰო ალექსანდრე.

— შენგელია კაცო?

— ჰო!

— რა დემართა იმ საწყალს...

— რა ვიცი! რალაც... უკაცრავად მაგრამ მეჩქარება...

— ამ ელვას არ ჩაასწო რენ! — მიაძახა ნაცნობმა ვარლამს, მაგრამ უკანასკნელს აღარ გაუგონია... 3 სექტემბერს, სალამოს ფოთი-თბილისის მატარებელში იჯდა ვარლამი და ავადმყოფს ამშვიდებდა.

სამტრედის სადგურზე მეტად გოცდა ვარლამი. მას სამტრედიაში არავინ არ დახვდებოდა. 3 სექტემბერს სალამოს, სამტრედის ფოსტაში წერილების დამტარებლებს ნიკოლაიშვილს და მოწყობილს შეწყობილი დიალოგი ჰქონდათ გამართული:

— წვილე კაცო, რომ გეუბნები...

— მაგი შენი უბანია და მე რა მესაქმება!

— ე, კაცო, მოკიდე ხელი! აგერა ორ ფეხის ნაბიჯზე...

— შე კაცო ორ ფეხის ნაბიჯზე თუა რას მახვევებ ამდენხანს?

— მე აგერ წერილები მაქვს გასახსნელი, რალაცა სქლადა და შიგ მგონია ფულია!

— რავე მე შენზე ნაკლები ვარ სხვის წერილების გახსნაში თუ? ვის უბედავ მაგას ბიჭო შენ! აიტ! — წამოიწია ნიკოლაიშვილმა და ელვა დეპეშა ცხვირში მიახალა მოწყობილს.

მეორე დღეს ავადმყოფი გარდაიცვალა. ვარლამი ეზოში ნაღვლიანად იდგა და ფიქრებს მისცემოდა, რომელიც წერილების დამტარებლის მოწყობილის ხმამ გამოარკვია.

— გეგელია! გეგელია თუ შეგელია — ველარ ამოიკითხა მოწყობილმა...

— შენგელია... ალბათ... — გამოეხმაურა ვარლამი და მოწყობილს „ელვა“ დეპეშა ჩამოართვა. ვარლამ-

მა დეპეშა ხელში შეატრიალა და ველარც კი იცნო თავისი ტექსტი ისე „ვეელამაზებიათ“ ფოსტის მუშაკებს: „სამტრედია... გორკის ქ. №81. შენგელიას. ალფანდრე მოყავს ჩახტით საგზურზე. ვარამი“. ვარლამს ხმა ყელში ჩაუწყდა, წერილის დამტარებელს ბრაზით გადახედა, დეპეშა გადმოაბრუნა და ზედ ფანქრით წააწერა: „ვინაიდან თქვენს ელვა დეპეშას თბილისიდან ფეხით ჩამოვასწარი, ამიტომ ჩემი დეპეშა თქვენთვის მიფეჭაშეხია“.

წერილების დამტარებელი უკან გატრიალდა.

— „მოლა მოკვდა, ფლავი თავზე დააყარესო“ — მწარედ ჩაილაპარაკა ვარლამმა და სახლში შეტრიალდა.


შვიდი დღის განმავლობაში დადიოდა ვარლამი — სამტრედის ფოსტის გამგე ლევა ვასთან, რომელიც ვარლამს შვიდი დღის განმავლობაში ასეთი პასუხით ისტუმრებდა...

— ხვალ მოდი!..

ელვა დეპეშის დაგვიანების მიზეზი მკითხველმემა უკვე იცნა.

ელასა — მელასა  
ქიქა მეკიდა ყელასა,  
ფოსტის ასეთი „გმირობა“  
მულამ გაშორით ყველასა...  
კვანტილა.

# ს უ რ ა მ ე ლ ი „ უ ჩ ი ტ ე ლ ი “



იყო და არა იყო რა. ვალოდია მკედლიშვილზე უკეთესი რა იქნებოდა? იყო და არის ვალოდია მკედლიშვილი. მას რატომღაც თავში მოუვიდა, რომ მასწავლებლობა ძალზე მოუხდებოდა..

ვალოდია ახტა, დახტა და მივიდა ხაშურის განგანში:

— დანიშნეთ სურამის სკოლაში, გენიალური კაცი ვარ!..

დანიშნეს ვალოდია სურამის არასრულ სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად.

ვალოდია ახტა, დახტა და მივიდა სურამში.

— ტუკ! ტუკ! ტუკ!

— ვინ არის?

— მე ვარ, ქართულის ენის მასწავლებელი ვალოდია მკედლიშვილი... გავანათლებ მთელ სურამს.

დადგა ვალოდია მასწავლებლად.

— ეს არის ანი, ეს არის ბანი... ისწავლეთ, ცუბებივო, ჩანჩუკებივო, ისწავლეთ და თუ არ ისწავლით, მეც ფეხებზე მკიდილი... გაცვეთილი გათავდა, თუ არ გათავებულა, სულ ერთია, გადით გარეთ... მშველიძე წადი პაპიროსი მომიტანე... შენც მოგაწვევინებ... მანაშეროვ, ხანამო, დამპატივე, ფრიადს დაგიწერ... მამ ერთი მრავალ... კარგად სვამ შენც... აჰა, მაგიერში ფრიადი...

მოღვაწეობს ვალოდია მასწავლებელი, ოფლი ჩამოსდის ამდენი შრომით.

— ბავშვებო! გინდათ თბილისი განახვით? შეაგროვეთ ათას ხუთასი...

ჩამოიყვანა ბავშვები თბილისში, ხუთი დღის მაგიერად ორ დღეს ამყოფა.

— წამოდით ახლა... მოგვივლით? სახლში ჭამეთ, თქვენი ათას ხუთასი გაგასუქებდათ გეგონათ? დაიხარჯა, გენაცვათ... რაო? შვილასი მანეთი გამოგრიხით? არა, ბებიჩემის სული არ წამიწყდეს... რაო? საქმეს პროკურორს გადასცემთ ხაშურში? გადაცემთ, მარა არ შერცხვით, რომ თქვენი ფული შეჭმული არ აღმომაჩნდეს...

წამოიყვანა ბავშვები სურამში. ახტა, დახტა და მივიდა ხაშურის რაიპროკურორთან:

— რაიპროკულოლს სალამი! გეფიცები სულცხონებულ ნათლიაჩემს, იმ ექსკურსიაში კაბეიკი არ დამრჩენოდეს... მთასხუამის შუა გროვეს, შვიდასი მანეთი შემთხვევით ჩამრჩენოდა... დაეხარჯე გუშინ, ტანისამოსს ვყიდულობ, ესეც ხომ სკოლის კეთილდღეობაა?! ნახვამდის, გამდლობთ, პატიებისათვის...

ახტა, დახტა და სკოლას დაუბრუნდა. დასვენებებზე დაერია მასწავლებლებს და მასწავლებლებს: ეკატერინე ხორავას და ნინო მაცვანაძეს, სულ ბღღვირი ადინა ყველას.

— ვის უბედავთ შელაპარაკებას? ქართული ენის უჩიტელს? რა პრავა გაქვთ აბიდას რომ მაყენებთ? თქვე ასეთ-ისეთებო!.. ბიჭო, მანაშეროვ! წადი მამაშენს უთხარი სამასი მანეთი გამომიგზავნოს სესხად. შენ, ბუაჩიძე! უთხარი შენს მამას, თუ უნდოდეს განაზრება, ცამეტი თუმანი მასესხოს კრედიტში...

დახტის ვალოდია, ქეიფობს, სესხულობს და უკან არ უბრუნებს, გაკვეთილებს აცდენს და ბიულეტენებს შოულობს, იგინება და კაცი ხმას არ სცემს, მთელი პედერსონალი ემდურის, ვალოდია შახად არის:

— ხაშურში მკითხავს ვარჩევი... მოწაფეებიც იქ იყვნენ, მითხრა: შახად იყავი ვალოდია, შენს ბედს ძალი არ დაჰყვესო... ურტყი და ურტყი შენებურად მოწაფეებსო. მართლაც, ვურტყამ და ძალიან გამიმაგრდა მუსკულები... ისესხე და ნუ დაუბრუნებო, მეც ესესხულობ და არ ვუბრუნებ, სვი და სხვასაც ასეიო. მეც ვსვამ და სხვასაც ვსამევე... ჩინებული ყოფილა ეს უჩიტლობა!..

ასე გალობს ვალოდია „უჩიტელი“ სურამში, სადაც მას მრავალი ათეული მოწაფე აბარია.

ამბობენ, რომ უკეთესად იგალობებს იგი სურამის ქალებში, თუ კი ვინმემ სამიოდე ბატს მიაბარებს.

მაგრამ იმასაც უმატებენ, რომ ასეთი „უჩიტელი“ არც ბატის მწყემსად გამოდგებაო.

ადიკია ჯინჯიხაძე

## შ ე უ რ ა ც ხ ყ რ ფ ა ლ ი ბ უ ზ ე ბ ი

(არაკისებური).

„უშუკინის ქუჩაზე მაღაზიაში № 128-ში (დირექტორის მოადგილე ნაზინიანი) აწყვიდა დიდძალი დამპალი ხილი, საზამთრო, რომელსაც ბუზები და ჭიები ასევე. არის ტომატით სავსე კასრები თავლია და მტვერით სავსე“.

კომუნარების ბაღში სიამოვნებით უსმენდნენ რადიოს. ნერვიულობდა მხოლოდ ერთი. ის ხელს ხან ერთი ყურისაკენ გაიქნევდა, ხან მეორესაკენ.

— თფუ, კაკოი ნესჩასტიე და ბეზობრაზე! აქაც აღარ მასვენებენ.

— ბუუუ, ბუუუ...

— ბუუ, და ჯანდაბა! — კიდევ არ მეშვები? — გაბრაზდა უცნობი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელი მარცხენა ყურისაკენ გაიქნია. ხელი შემთხვევით მის გვერდში მჯდომ მოქალაქეს ცხვირზე მოხვდა.

— ეი, ტი, მოქალაქე, სუმასაშოლ? — დაუყვირა უკვე ცხვირგატეხილმა უცნობმა.

— ბუუუ... — გაიმეორა ბუზმა, ერთი გემრიელად ჩაიციხა და რაკია, ვერ მიცნო — სთქვა და გაფრინდა.

— სუკინსინ. — სთქვა ცხვირ-გატეხილმა უცნობმა და დასტოვა ბაღი. ის შევიდა ხილის მაღაზია № 128-ში (უშუკინის ქუჩა № 19) ხილის საყიდლად. უცნობი, რომელმაც ამ მეორე უცნობს ცხვირი გაუტეხა იქ დახვდა, ის დამდგარიყო ბუზების შუაში და იმუქრებოდა.

— რა გააჭირეთ საქმე! რაც შემიძლია ხელს გიწყობთ, საქმე-ლი ბევრი გაქვთ. ნ ფუთი გაფუჭებული ხილი, რამდენიმე ასეული დამპალი საზამთრო, გაფუჭებული ტომატი, მაღაზიაში თქვენ-

თვის განგებ ვაგროვებ ნაგავს, მეტი რაღა პატივისცემა გინდათ ჩემგან? მე თქვენი მტერი არა ვარ; რაც მეტი გამრავლდებით მაღაზიაში, ეს ჩემი სახელია. თუ არ მოიშლით ამ მიქარებს, მე მაღაზიის დირექტორის მოადგილე ნაზინიანი არ ვიყო, თუ სამაგიერო არ გადაგიხადოთ.

— არაფერი გვესმის... რას გვერჩის ეს ყაზახი, ვინ გაბედა ჩვენი ნაზინიანის წყენინება? — სთქვეს ბუზებმა.

ამდენ ბუზებში მხოლოდ ერთი ბუზი ვერ ეტეოდა თავის კანში, ის ხან დამპალ ხილზე გადასკუბდებოდა, ხან კი აშშორებულ ტომატთან კასრზე. — დავიღუბე, მგონი მიცნო! — სთქვა და შეურაცხყოფილი პირდაპირ თბილმრეწვაჭრობაში გაფრინდა. მან იქაურ მუშაკებს უამბო დირექტორის მოადგილის თავხედობა.

— უბრაღისია ჩორტ! ინტრიგაა ნაზინიანისადმი, მეტი არაფერი. ნაზინიანს ჩვენ ვიცნობთ, იცის მან ჩვენი დარიგება და ძალიან კარგადაც იქცევა. ცხადია, ერთ მაღაზიაში ჯობია ბუზების თავმოყრა, რომ სხვა მაღაზიებში არ გაიფანტონ — სთქვეს თბილმრეწვაჭრობის მუშაკებმა და ბუზი გარეთ გამოაგდეს, აქაც შეურაცხყოფილი ბუზი იძულებული — უხმოდ უკანვე თავის საყვარელ მაღაზიაში შეფრინდა.

— მიეჭარე, ან კი რა მინდოდა, რომ ავეყვიატე ნაზინიანს და ბაღში გავყვიო? — სთქვა შეურაცხყოფილმა ბუზმა და დამპალ პამიდორს დაასკუბდა.

შალშურა

# უიქაბი საბავშვო გამოფანდობის შესავალ კაჩბთან

„კრკადილიდან“

ნახ. კ. როტოვისა.

„...პირდაპირ საშინელება, უამრავ წიგნებს სცემენ კატებზე, ბუფებზე და შინაურ ფრინველებზე, კარატუბას და გმირ მფრინავების შესახებ (კა-სოვობზე მასალა არ მოიპოვება.“  
(ჩვენი საუბრიდან სკოლის მოწადენსთან)



მსსაზღვრე კარატუბა ! (პაპანინს, ჩკალოვს, გრომოვს, ვოლობინოვს): — კატებმა ისევ გვა გადაგვიჭრეს, დიდხანს დავგვირდებოლოდინი ხანამ აქედან გამოვიდოდეთ.

ძია ნიანგო!

მე-10 კლასის ლიტერატურის ქრესტომატიკაში მოთავსებულია ჯოლა ლომთათიძის ნაწარმოები „სახრხოზელაზე“; მაგრამ არ არის მოთავსებული მწერლის სურათი. თუ კი სხვა მწერლების სურათებია მოთავსებული, რა დააშავა ჯოლა? რა მოსახრებით არ მოათავსა, მისი სურათი სახელგამმა? თუ მხატვარმა ცუდად დახატა, კდა ამიტომ არ მოათავსა, ეს, ასე, თუ ისე, საპატიო მიზეზია, მაგრამ რატომ ასე არ მოიქცა იროდიონ ევდოშვილის მიმართაც, რომლის სურათი დამახინჯებულია: მარჯვენა უღვაში საკმაოდ შეკრებილი აქვს, ხოლო მარცხენა — გადაჭარბებით აგრებილი. ცუდია, როცა მხატვარი დალაქობას იწყებს, ხოლო დალაქი — მხატვრობას.

მოწაფე დარეჯანა

ძია ნიანგო!

სოფ. ბანძის (გეგეჭკორის რაიონი) საშუალო სკოლის მოწაფეები კოლექტიურად ვკითხულობდით „ვეფხის ტყაოსანს“ და ვათვალისწინებდით შიგ მოთავსებულ პროფ. ლ. გულიაშვილის ნახატებს.

— მე მიკვირს, — თქვა ერთმა მოწაფემ, — რატომ არ აქვს ყურები ამ ნახატებში „ვეფხის ტყაოსანის გმირებს“?

ამ საკითხის გარშემო ბევრი ვილაპარაკეთ. ზოგმა რა ვთქვით და ზოგმა რა... ბოლოს ასეთი აზრი გამოითქვა:

— მე მგონია, რომ მაშინ „ვეფხის ტყაოსანის“ გმირებს სკოლაში ასწავლიდა ისეთივე მასწავლებელი, როგორც არის ჩვენი სკოლის დირექტორ-მასწავლებელი ხაინდრავა, და ამიტომაც არცერთ მათგანს არ შეაჩინა ყური.

მოწაფეთა ჯგუფი

ამხანაგო ნიანგო!

სოფ. ბანძის (გეგეჭკორის რაიონი) საშუალო სკოლაში ჩემს შესახებ გავრცელებულია მასწავლებელ მირცხულავას მიერ ყალბი ცნობები.

კარგათ მოგესწებათ, რომ მე ვარ აფრიკის ქვეშევრდომი და სტუმრადაც არ ვყოფილვარ სხვა ქვეყანაში. მართალია, ყველა ქვეყნის ზოოპარკებში არიან ჩვენი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველა ქვეყნის მკვიდრნი ვიყოთ!

ამას წინათ, როცა მასწავლებელმა მირცხულავამ ჩემი დახასიათება მოსთხოვა მოწაფე შ. მიქაიას, ამ უკანასკნელმა ასე დამახასიათა, თითქოს მე ყირაფი კი არა, რაღაც ისეთი ცხველი ვიყო, რომელიც მგონი არც კი არსებობს სინამდვილეში.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მასწავლებელმა დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერა მოწაფეს. როცა ამის შესახებ საყვედური გამოვუცხადე მასწავლებელს, მან თავი იმართლა:

— რა გქნა, ჩემო კარგო, ვერც მე გიცნობ კარგად და სხვანაირად როგორ მოგქცეულიყავი?

მე მოვიტხოვე ჩემი უფლებების აღდგენას და ჩემი რაობის დაცვას.

აფრიკელი ყირაფი

ამხანაგო ნიანგო!

ნიგოთის, ნინოშვილის და ლანჩხუთის ა/ს. სკოლის დირექტორები ამბობენ: — გაჭირვებულ კაცს ქვა დაღმართში მოეწიაო. რა ვიცოდით, თუ სასწავლო წელი დაიწყებოდა, თორემ ბიჭობა არ გვაკლია, დავტრი-აღდებოდით ისე, როგორც ქეიფში, წიწილე-ბის ჭამისა და ნუნუას გადაკვრის დროს ვიცით ხოლმე დატრიალება და სკოლებიც მზად იქნებოდაო.

დაიწყო სასწავლო წელი. ზოგმა დირექტორმა ნეკზე იკბინა, ზოგმა ყურზე და ზოგმა სად.

— ჩამეშალა: ურეკავს ნიგოთი ლანჩხუთს.

— არა უშავს, შემდეგ გამოსასვლელ დღისათვის გადავდგათ, მანამ იქნება მაჭარიც შემოვიდეს. — პასუხობს ლანჩხუთი.

— ხარისხიც დაბალია — უჩივის ნინოშვილის სკოლის დირექტორი.

— ხარისხი თუ დაბალია, რა უშავს, მხოლოდ ბევრი იყოს, ორი სამი ვედრო მაინც.

და ასე „ორომტრიალით დაფაცურდნენ“ დირექტორები. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ. მოწაფეები ბელურებივით შეცვინდნენ სკოლაში, მაგრამ სადღა მერხები, მაგიდები, დაფები?

— არა უშავს, წელს იოლად წავალთ. ვაუჯაცობაც ისაა, რომ გაჭირვებას გაუძლო, ნათქვამია: — ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო. — თავს იმშვიდებდნენ დირექტორები.

მართლაც, რომ ქვითკირის თავი — და შუბლი ჰქონიათ, რომ უძლებენ იმ სამარცხვინო ამბავს, რაც მათ მოუვიდათ სწავლის დაწყებისას.

ყოჩაღ დირექტორებო!


ხვიშტი

საქ. სააღრიცხვო სამმართველოს ზოგიერთი მუშაკი ზერელედ და არასწორად ატარებს წ. კ. უცოდინართა აღრიცხვას. უცოდინართა რეცხვში შეყვანილ უმაღლეს დამთავრებულები... არის შემთხვევა წ. კ. უცოდინარს ლიკსკოლაში არ იღებენ...

ხლებუ ასა...



- რისთვის გამომიძახეთ?
— ლიკსკოლაში უნდა ისწავლოთ!
— მე უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული!
— სულერთია, ლიკსკოლის გავლა სავალდებულოა.



- წერა-კითხვა იცი?
— არა?
— მაშ ლიკსკოლაში ვერ მიგიღებთ.

ბაღლინის უნივერსიტეტში

- ბოღიში ჰერ! დღეს არ შესდგება ჩვეთ პროფესორის ბ-ნ ქონდარ შტეინის ლექცია საკატობრიო კულტურის შესახებ?
— რომელი ლექცია! ბატონი პროფესორი პოლიციელებთან ერთად წავიდა ებრაელების დარბევაში მონაწილეობის მისაღებად.

(ორჯონიკიძე, ყ. ხარაგოული)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფინგანის გამგე ვლადიმერი  
კვირიკაშვილი  
მაგრად მობეგვეს, მოუმტვირეს  
ცხვირი და კბილი.

მიზეზს იკითხავთ მიბეგვისას...  
ეს ასე მოხდა:  
მას მოეწონა ერთი ქალი,  
ქვრივი და კობტა.

მიუხტა ღამით... შეიპარა  
ქალის ოთახში...  
აღერსის ნაცვლად უთავაზეს  
„გმირს“ კეტი თავში...

ახ... რა ყოფილა მიჯნურობა  
წმაგი, წყეული, —  
დადის „ფინგანი“ გალახულა,  
პირ-ახვეული.

კირკიტა

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ოკეპიკის მესხოვალაოგის სკოლისთვის  
სტაქნიკური ახსნადგის

## ს ა უ ე ა ო ო გ ო ო მ ო ვ ი ლ ა ბ ა ს

1937\38 ს.წ. ქართულ-რუსულ საქმურზე.  
სტაქნიკური ახსნადგის უნსკოს ზოგადადნიკობის.  
სტაქნიკური 4 წლიანი.

ტექნიკურში მიიღებან მოქალაქეში ორივე სქესისა. 15 დან  
30 წლამდე, ცოდნით არა ნაკლები 7 წლედისა.

განცხადების მიღება წარმოებს 1/VI დან 20/VIII-36 განცხადებას  
თან თუმდა ახლდეს შემდეგი საბუთები:

1. მოწმობა როგორც 7 წლედ ღამთავრებული (დედანი)
2. ჯანმრთელობისა.
3. დაბადების.
4. ორბ ფოტო სურათი საკუთარ ხელ მოწერით დადასტურებული სახდაწესებულებისაგან.

გამოცდას იწვრამიას 21 აგვისტოდან  
28 აგვისტოდან

შემდეგ საგნებში: 1. ქარაული ეხა და ლიტერატურაში.  
2. მათემატიკაში. 8. ფიზიკაში. 4. გეოგრაფიაში. 5. პოლიტ.  
ცოდნაში.

სტაქნიკური მიღებული სტუდენტობის დაკ-  
გაყოფილებული იქნებინან სპარტო სსხო-  
პრეგით და სტიპენდიით

მისამართი: ქ. ოჩამჩირი მეცხოველეობის ტექნიკური ლე-  
ნინის ქუჩა № 11.

დირექტორი ჩინბელია.

Уч. №101/1937 № 180. г. Орджоникидзе. ул. им. Б. П. Жданова, 11. Тел. 712-349

საჭიროა ზოგტექნიკოსების მომზადების დაწყებამდე აფხაზეთის  
უანსახკომმა წერა-კითხვა ასწავლოს ოჩამჩირის „მეცხოველეობის“  
ტექნიკუმის დირექტორს ჩინბელიას და აფხაზეთის მთავლიტის  
არწმუნებულს, რომლებიც ხელს აწერენ ამისთანა „განცხადებას“.

## ლიკეუმის „პაქაღა“

„ზენობნის (ჩოხატაური) დაწყებითი  
სკოლაში პარტები დამტერულია, ფან-  
ჯრები ჩალეწილია“.

იკითხავთ, სკოლის დირექტორს,  
ანდლულაძე გვარად,  
მთელი წაფხული იხდერა,  
„ჩემო თაო“ და „ვარადა“

არ წაკეთა მაგიდა,  
არცა ფანჯრები, პარტები.  
ნეტავ ამ ბიჭთან რა ვინდათ  
როდესაც უყვარს კვარტები?!



მოსწავლეთ ზეზე უხდებათ.  
ისწავლონ ანი-ბანია.  
მთელი სოფელი მოგმართავს  
სოფელი ზენობანია: —  
ნიაგო! ასეთ დირექტორს  
დროზე აუწვი კანია.

ნიაგკორი.

## გ თ ჯ ტ რ ი

კირკიტას № 2-ს (ორჯონიკიძე, ყოფ. ხა-  
რაგ.) იწერებით,

ხარაგოულის სრულ საშუალო სკოლის  
გამგემ კოტე ნიქაცაძემ შინაურ ღორებზე  
ნადირობაში რეკორდი აიღო. ჯერჯერობით  
მოკლულია და ნაჯახით აკუწულია ერთი  
ღორი, რომელიც ალექსი ღამაძეს ეკუთვნოდა.  
მოველით ახალ რეკორდს არტევან ცხადა-  
ძის ღორების სკოლის ეზოსთან გამოჩენის-  
თანავე.

ნიაგის რედაქცია ულოცავს კ. ნიქაცაძეს  
მიღწეულ გამარჯვებას და უსურვებს ახალ  
წარმატებებს ღორებთან „სამკვდრო-სასი-  
ცოცხლო ბრძოლის“ ფრონტზე.

ლადის (აქვე) რატომ არ ასახელებთ,  
გვარს იმ პიროვნებისას, რომელსაც თქვენ  
ასეთ ლექსით მიმართავთ:

უმადლესი სკოლისაკენ  
გზა მითი გაქვს გაკაფული,  
რომ ხელში გაქვს, ბიჭიკოჯან,  
ატესტატი გაკაფული.

თუ გარკვევით არ გამოამყლავნეთ ბრალ-  
დებულის ვინაობა, ისე ჟურნალში მასალის  
მოთავსება მიზანშეუწონელია.

ნარბიჯოვანს (აქვე) იწერებით:

რა ვქნა? მუჟა მაწუხებს,  
თავი ვერ გავაკოტრე,  
რაც დავწერე, ნიაგო,  
განდა შენი საგოდრე.

გული მაინც კვლავ მერჩის  
გული როდი თაკილობს  
და დავეძებ, ნიაგო,  
შენ შესაფერ საკბილოს.

წინსვლა გეტყობათ; მონახეთ და მოე-  
რიგდებით.

ეროვნული  
გერბი



ცხოველები: — გასწით, გასწით აქიდან! ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულების თანახმად ეს შენობა ჩვენ უნდა დავიკავოთ!

პ. მგ. რედაქტორის მოვალ. აღმასრულებელი: ს. ბაჩქალიძე

რედაქც. მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5.

პოლიგრაფკომბინატი, უორესის 5. გადაეცა წარმოებას 13/X ხელმოწერილია დასაბეჭდათ 25/X შეკვეთა № 1280 მთავ. რწმ. № 18462.